"SOME EXPLANATIONS" ABOUT PEOPLE WHO DRANK FROM TERGI'S (PEOPLE WHO CROSSED IT) POLITICAL PHYLOSOPHY (BECAUSE OF ACADEMIC GIORGI MELIQISHVILI'S "SOME EXPLANATIONS")

„ზოგიერთი განმარტება" თერგდალეულთა პოლიტიკური ფილოსოფიის შესახებ (აკად. გ. მელიქიშვილის „ზოგიერთი განმარტების" გამო)

Omar Gogiashvili
Doctor of Sciences in History
Professor of Technical University, Academician,
Tbilisi, Georgia
(+995) 599 504 299; ogogiashvili21@gmail.com

Abstract

In Georgia, first the social-democratic (Menshevik) and then communist (Bolshevik) party ruling caused ideas that already existed in Menshevik-Bolshevik parties to be established in the national ideology, and they went against every nationalist notion. Both parties had the same goal, and none of the leaders was willing to compromise. Using Georgia's geniuses' gold fund, they wanted an international, revolutionary political mix to replace Illia's ideology. It was a considerable challenge to defend Illia's patriotic heritage because the people opposing him stood high in power politically. Because of this, many social-political scientists stood by the ideas forced upon society by the government. A few put themselves at risk by going against what the government ordered and trying to defend their patriotic heritage. A great example would be Giorgi Meliqishvili – A well-known Georgian historian and Academic. His goal was to portray Illia Chavchavadze and his worldview without any lies. For this to happen, what must be done first is to set free of the falsified ideological views spread by the government.

Key words: National, Patriotic, Ideology, Internationalism, Cosmopolitanism, Social.

ომარ გოგიაშვილი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, აკადემიკოსი,
თბილისი, საქართველო
(+995) 599 504 299; ogogiashvili21@gmail.com

აბსტრაქტი

საქართველოში ჯერ სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური), ხოლო შემდეგ საბჭოთა (ბოლშევიკური) ხელისუფლების დამყარებამ საზოგადოებრივ აზროვნებაში ის თეორიები გააბატონა, რომლებიც მენშევიკურ-ბოლშევიკური პოლიტიკური პარტიული იდეოლოგიების სახით მანამდეც არსებობდა და ყოველივე ეროვნულს მკვეთრად უპირისპირდებოდა. მათ საერთო მიზანი ჰქონდათ და ამ მიზნის მიღწევაში მენშევიკების და ბოლშევიკების ლიდერები ერთმანეთს ტოლს არ უდებდნენ. მათ სურდათ, კაცობრიობის „ბრძენთა“ და „გენიოსთა“ ოქროს ფონდის გამოყენებით, საქართველოს რეალურ გამოწვევებზე მორგებული ილიას ეროვნული იდეოლოგიის ადგილი ქართულ ცნობიერებაში სოციალური უტოპიით გაჯერებულ ინტერნაციონალურ-რევოლუციურ პოლიტიკურ ნაზავს დაეჭირა.

ილიას პატრიოტულ-ეროვნული მემკვიდრეობის დაცვა ტოტალიტარული საზოგადოების პირობებში ურთულეს ამოცანას წარმოადგენდა იმის გათვალისწინებით, რომ მისი მოწინააღმდეგე თეორეტიკოსები ხელმძღვანელ პარტიულ და სახელმწიფო პოსტებს იკავებდნენ. ასეთ პირობებში ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის მკვლევართა დიდი უმრავლესობა დინებას მიჰყვებოდა და მორჩილად ემსახურებოდა პარტიის იდეოლოგიურ დაკვეთებს. მაგრამ იყვნენ ერთეული მეცნიერები, რომლებიც მეცნიერული კარიერისა და პირადი უსაფრთხოების ეჭვქვეშ დაყენებით ცდილობდნენ, ერისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მოღვაწეების მემკვიდრეობა დაეცვათ იდეოლოგიური გაყალბებისაგან. ამის მკაფიო მაგალითად წარმოგვიდგება გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი, აკადემიკოსი გიორგი მელიქიშვილი. მისი მაღალმეცნიერული და მოქალაქეობრივი მიზანი, როგორც თავად მიუთითებდა, ის იყო, რომ წარმოედგინა „ილია ჭავჭავაძე და მისი მიმდინარეობა, მათი მსოფლმხედველობა და საქმიანობა რაიმე „შელამაზების“ გარეშე“, რაც, პირველყოვლისა, ეროვნული იდეოლოგიის პარტიული გაყალბებისაგან გათავისუფლებას ნიშნავდა.

საკვანძო სიტყვები: ეროვნული, პატრიოტული, იდეოლოგია, ინტერნაციონალიზმი, კოსმოპოლიტიზმი, სოციალური.

შესავალი

ილიას საიუბილეო თარიღების აღმნიშვნელ სტატიებში, აკადემიურ ჟურნალში თუ სხვადასხვა კრებულებსა და მონოგრაფიულ გამოკვლევებში რომ შევაჯამოთ, აკად. გ. მელიქიშვილმა ილიას ეროვნული იდეოლოგიის

დაცვა 4 მიმართულებით განავითარა, რომლებიც, თავის მხრივ, ბევრ აზრობრივ შენაკადს შეიცავდა:

1. ილიას ეროვნული იდეოლოგიის რომელიმე იდეოლოგიურ-პოლიტიკურ სქემაში ჩასმა პოლიტიკურად და მეცნიერულად შეცდომაა. აქ, პირველყოვლისა, იგულისხმებოდა რევოლუციონერ-დემოკრატებისადმი ილიას „მიმდევრობა“, ზოჯერ „მოწაფეობა“, გავლენაზე ხომ საყოველთაო კონსენსუსი არსებობდა. სათანადო მეცნიერული არგუმენტაციის საფუძველზე აკად. გ. მელიქიშვილის დასკვნა კონკრეტული და საგნობრივია: საეჭვოა და დაუსაბუთებელი ილიას იდეოლოგიის დაკავშირება ნ. ჩერნიშევსკისთან და ტ. შევჩენკოსთან.

2. ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების წყალგამყოფია ეროვნულის თუ სოციალურის პრიორიტეტი განმათავისუფლებელ მოძრაობაში და სოციალური ძალების მძაფრი დაპირისპირების საფუძველი.

3. ეროვნული და სოციალური მიზნების მიღწევის უპირატესი გზა – რეფორმისტულ-ევოლუციონისტური თუ რევოლუციური. ამ შემთხვევაშიც აკად. გ. მელიქიშვილის დასკვნა კონკრეტულ-საგნობრივია: ილია ჭავჭავაძე და მისი მიმდევრები არ იყვნენ რევოლუციონერები. მათ არ შეიძლება რევოლუციონერ-დემოკრატები ვუწოდოთ.

4. ილიას და მისი თანამებრძოლების „სულ სხვა ნიადაგზე აღმოცენებული“ მარქსისტული სოციალ-დემოკრატიის წინაპრებად გამოცხადება შეუძლებელი და მიუღებელია.

ვერ ვიტყვით, რომ აღნიშნული პრობლემები, რომლებიც აკად. გ. მელიქიშვილის თვალთახედვის არეში შემთხვევით არ მოექცა, ილიას პოლიტიკურ-იდეოლოგიური მემკვიდრეობის მთელ მრავალფეროვნებას მოიცავს, მაგრამ იმის თქმა კი შეიძლება, რომ არსებითი, განმსაზღვრელი ასპექტებია.

მეთოდი

ნარკვევი ეფუძნება პოლიტიკის მეცნიერებებისათვის ორგანულ რეტროსპექტრულ და შინაარსობრივი ანალიზის მეთოდს, ემპირიული მასალის კრიტიკულ თუ ლოგიკურ გააზრებასა და განზოგადოებას ექვემდებარება.

შედეგი

აკად. გ. მელიქიშვილის მართალ სიტყვას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საზოგადოებათმცოდნეობის სხვადასხვა დარგში ფესვგადგმული პარტიული დირექტივების შესაბამისი გაყალბების წინააღმდეგ, რომლის მიზანს ილიას, როგორც მოაზროვნის და პოლიტიკოსის, ხელისუფლებისათვის მისაღები მხრიდან წარმოჩენა წარმოადგენდა. აკად. მელიქიშვილის მიერ ილიას ეროვნული იდეოლოგიის „ღერძულა“ პრინციპების დაცვა დიდ მეცნიერულ და მოქალაქეობრივ გაბედულებას წარმოადგენდა, რადგან გარკვეულად „დინების წინააღმდეგ“ იყო მიმართული. აკად. გ. მელიქიშვილის ამ ძალისხმევის მნიშვნელობას ზრდიდა ის გარემოება, რომ მეცნიერი ამ პერიოდში (60-70-იანი წლები) ისტორიულ მეცნიერებებში საყოველთაოდ აღიარებულ ავტორიტეტს წარმოადგენდა.

მსჯელობა

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ საზოგადოებრივ აზროვნებაში ის თეორიები გააბატონა, რომლებიც ბოლშევიკურ-მენშევიკური პოლიტიკური იდეოლოგიების სახით მანამდეც არსებობდა და ყოველივე ეროვნულს უპირისპირდებოდა.

ილიას, როგორც მწერლის და საზოგადო მოღვაწის, რეაბილიტაცია გასული საუკუნის 30-იანი წლების მეორე ნახევრიდან დაიწყო და გასაგებია, რომ ეს უმაღლესი ხელისუფალის გარეშე ვერ მოხდებოდა.

1937 წლის მაისში გაზეთი „პრავდა“ ფართოდ გამოეხმაურა ილიას დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო ღონისძიებებს და სარედაქციო სტატიის ფორმით მთელი გვერდი მიუძღვნა მის შემოქმედებას. ამ წერილში აღნიშნული იყო, რომ ქვეყნის მასშტაბით ტარდება საიუბილეო დეკადა დიდი ქართველი მწერლისა და საქართველოს XIX საუკუნის მეორე ნახევრის ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის უაღრესად პოპულარული მოღვაწის ილია ჭავჭავაძის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად. იმავე წლის სექტემბერში ილიას გარდაცალების 30-ე წლისთავს მიუძღვნა კვლავ სარედაქციო წერილი, სადაც აღნიშნული იყო, რომ დაქირავებულ ბანდიტთა ბრბომ 30 წლის წინ ბარბაროსულად მოკლა საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი მწერალი, ახალი ქართული ლიტერატურის ფუძემდებელი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე, ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მგზნებარე მებრძოლი ილია ჭავჭავაძე.

იუბილის წელს და შემდგომაც, რაკი ამის უზენაესი ნებართვა არსებობდა, გამოიცა ისტორიკოსების, ფილოსოფოსების, ფილოლოგების, ეკონომისტების და მეცნიერების სხვა დარგების წარმომადგენელთა დიდი რაოდენობით მონოგრაფიები და კრებულები. ამავე პერიოდში ტრადიციის ძალა შეიძინა (და დღემდე გრძელდება) ილიას ბიოგრაფიის მრგვალი თარიღების საიუბილეო აღნიშვნებმა. გამოიცა უამრავი ნაშრომი, რომლებშიც ილიას ფილოსოფიურ-იდეოლოგიური და პოლიტიკური მემკვიდრეობის პრობლემა ახლებურად დაისვა, გამდიდრდა საკვლევი ბაზა და ბევრ შეკითხვას გაეცა პასუხი, მაგრამ ეს ყოველივე ტოტალიტარული საზოგადოების პირობებში ხდებოდა და, ბუნებრივია, საზოგადოებრივ პოლიტიკურ მეცნიერებებსაც თავის კვალს ამჩნევდა. ეს კვალი კი მეცნიერებისათვის უაღრესად მძიმე იყო – ნებისმიერი მოსაზრება, იდეა, კონცეფცია, თეორია იდეოლოგიურად მისაღები უნდა ყოფილიყო ხელი_ სუფლებისათვის.

ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის მკვლევართა დიდი უმრავლესობა დინებას მიჰყვებოდა და მორჩილად ემსახურებოდა პარტიის იდეოლოგიურ ამოცანებს, თუმცა მეცნიერულობის პრეტენზიაც ჰქონდათ. მცირე ნაწილი რომელიმე იდეოლოგიურ პრინციპს, ცალკე აღებულს, რბილად აკრიტიკებდა და ისევ სხვა იდეოლოგიურ პრინციპზე დაყრდნობით. მაგრამ იყვნენ ერთეულები, რომლებიც ამისათვის უაღრესად მძიმე პირობებში, მეცნიერული კარიერისა და პირადი უსაფრთხოების ეჭვქვეშ დაყენებით, მეცნიერული კეთილსინდისიერებით ცდილობდნენ, ერისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მოღვაწეების მემკვიდრეობა დაე-

ცვათ იდეოლოგიური გაყალბებებისაგან. ამის მკაფიო მაგალითად, როდესაც მისი შემოქმედების ზოგიერთ ნაშრომს გავეცანი, წარმომიდგა აკადემიკოსი გიორგი მელიქიშვილი.

ჩემთვის განსაკუთრებით სასიამოვნო მეცნიერული სიურპრიზი აღმოჩნდა ის გარემოება, რომ, რასაც დღეს დამოუკიდებელ საქართველოში ვაღიარებთ და ვამტკიცებთ, ტოტალიტარიზმის პირობებში, მისი მნიშვნელოვანი ასპექტები დაუმახინჯებლად გამოთქვა აკად. გ. მელიქიშვილმა. ეს მოსაზრებები, განსხვავებით იმ პერიოდის სხვა ქართველი საზოგადოებათმცოდნეებისაგან, გამოთქვა აშკარად, პირდაპირ, ყოველგვარ ორაზროვნებას მოკლებული ან, როგორც ილია იტყოდა, „აბუნდოვნების“ გარეშე, რომ იქნებ ყოვლისმომცველ ცენზურას გაეპაროსო. ამით გამოირჩევა აკად. მ. მელიქიშვილის შეფასებები ილიას და მისი თანამებრძოლების მოღვაწეობის შესახებ ამ პერიოდის ამსახველი უამრავი ისტორიული, ფილოსოფიური, ეკონომიკური და სხვა მეცნიერებების წარმომადგენლებისაგან, რაც, ბუნებრივია, მის მოსაზრებებს საინტერესოს ხდის და მეცნიერულობას მატებს.

1978 წლის მაისში აღინიშნა ილიას დაბადების 140-ე წლისთავი და საიუბილეო მასალების ფარგლებში გაზეთ „კომუნისტში“ დაიბეჭდა აკად. გ. მელიქიშვილის სტატია „ეროვნული თავისუფლების მედროშე“ (მელიქიშვილი, 1978ა.).

იმავე წელს „მაცნეში“ გამოქვეყნებულ სტატიაში „ზოგიერთი განმარტება“ ის მიუთითებდა იმ განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე, რაც გამოჩენილმა მეცნიერმა ამ მცირე ზომის, მაგრამ დიდი პროცესების ახლებური გაგებით დატვირთულ ნარკვვში ჩააქსოვა: „ჩემი წერილის დედააზრი ის იყო, რომ ილია ჭავჭავაძე და მისი მიმდინარეობა, მათი მსოფლმხედველობისა და საქმიანობის რაიმე „შელამაზების“ გარეშე, მისაღები და ღრმა პატივისცემის ღირსნი არიან ჩვენი დღევანდელი თაობისათვის, დღევანდელი სოციალისტური სინამდვილისათვის“ (მელიქიშვილი, 1978 ბ. : 119).

საგულისხმოა, რომ ქართულ საზოგადოებაზე განსაკუთრებულ ზემოქმედებას მოახდენდა საგაზეთო სტატიაში და შემდგომ „ზოგიერთ განმარტებაში“ გამეორებული (ეს შემთხვევით არ მოხდებოდა, ო.გ.) გ. მელიქიშვილის მტკიცება იმის შესახებ, რომ „ილია ჭავჭავაძე და მისი მიმდევრები არ იყვნენ რევოლუციონერები, მათ არ შეიძლება რევოლუციონერ-დემოკრატები ვუწუდოთ“ (მელიქიშვილი, 1978 ბ. : 120).

„კომუნისტის“ წერილში გადმოცემული ახალი მოსაზრებები, რომლებიც არსებითად განსხვავდებოდა იმ პერიოდში გაბატონებული მიდგომებისაგან თერგდალეულთა და მათი ლიდერის იდეურ-იდეოლოგიური კუთვნილების შესახებ, როგორც ჩანს, რეზონანსული გამოდგა. არ გამოვრიცხავ, რომ სტატიის ავტორს პარტიის ცკ-ის იდეოლოგიურ განყოფილებაშიც გაესაუბრნენ, რათა დაეწყნარებინათ ის ავტორები, რომელთა მოსაზრებები არ გაიზიარა გ. მელიქიშვილმა. ამის შედეგი უნდა იყოს ის გარემოება, რომ მცირე საგაზეთო სტატიაში გამოთქმული მოსაზრებების ფართო მეცნიერული ინტერპრეტაცია მოგვცა აკადემიის ჟურნალ „მაცნეში“

(ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია) დაბეჭდილ მოზრდილ სტატიაში. ამასთან, გარკვევით უნდა ითქვას, რომ ახალ პუბლიკაციაში მას არ უარუყვია არცერთი მნიშვნელოვანი მოსაზრება, რაც „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ სტატიაში გამოთქვა, პირიქით, ახალი არგუმენტაციით დაასაბუთა და ახალი დებულებებით, ოფიციოზისაგან სრულიად განსხვავებული იდეურ-იდეოლოგიური ძიებებით გაამდიდრა თერგდალეულთა პოლიტიკური მემკვიდრეობის ანალიზი. ამის გამო მიზანშეწონილად მიგვაჩნია, აკად. გ. მელიქიშვილის ნოვატორული თვალსაზრისი ილიას და მისი თანამებრძოლების იდეურ-პოლიტიკური საქმიანობის შესახებ, სწორედ ამ „ზოგიერთი განმარტების“ მიხედვით განვიხილოთ.

„ზოგიერთი განმარტების“ შესავალში ავტორი მიუთითებს: წერილის „ეროვნული თავისუფლების მედროშე“ შედგენისას „მამოძრავებდა ღრმა უკმაყოფილება ჩვენს მეცნიერებაში ამჟამად ფეხმოკიდებული სქემატური დამოკიდებულების გამო XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის შეფასებაში“. ავტორის განზრახვა ცხადია და სრულიად გასაგები. მას არ აკმაყოფილებს სქემატური მიდგომა XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალების შეფასებაში. აქვე შეიძლება მივუთითოთ, რომ დრეპერისა და მისი გავლენით ი. ჯაბადარის „ერის დაბერების“ თეორიის მთავარ ნაკლად ილია სწორედ ისტორიის პროცესებისადმი სქემატურ მიდგომას თვლიდა.

ამასთან დაკავშირებით აკად. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა: „ივ. ჯაბადარის ძირითადი რწმენა სქემატიზმისა და მონური მიმბაძველობისა უკვე გამომჟღავნებული იყო – ვითომც ყოველ ერს თავისი ბავშვობის, ყრმობისა და ჭაბუკობის შემდგომ, აუცილებლად სიბერე ეწეოდეს ხოლმე... *ასეთ სქემატიზმს და გაზეპირებულ აზრებს ილია ჭავჭავაძემ სულ სხვანაირი შეგნება დაუპირისპირა – მას ისტორიული პროცესის საფუძველი და მამოძრავებელი ძალა აინტერესებდა, ხოლო შემდეგ – მოვლენათა შეფასებაც. ამასთანავე, მისი რწმენით, მთავარი ყურადღება შინაგანს, ე.ი. სოციალურ-ეკონომიკურსა და კულტურის პრობლემებს უნდა მიქცეოდა. ილია ჭავჭავაძის ისტორიული კონცეფციით, კაცობრიობის პროგრესის სათავე შემოქმედების წყურვილი და ნიჭია“* (ხაზგასმა ივ. ჯავახიშვილისა) (ჯავახიშვილი, 1939 : 12, 13).

„ზოგიერთ განმარტებაში“ აკად. გ. მელიქიშვილი მიუთითებს ჯერ კიდევ 10 წლის წინ კრებულში „საისტორიო წერილები“ გამოქვეყნებულ ნარკვევზე „საქართველოს ისტორიის შესწავლა ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავზე“, რომელიც 1968 წელს კრებულში „საისტორიო წერილები“, ნაკვეთი პირველი, აკად. გ. ჩიტაიას რედაქტორობით გამოიცა და ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის მეცნიერებაში მიღწეულ შედეგებს ასახავდა. გ. მელიქიშვილის ვრცელ წერილში ჩვენთვის საინტერესო თერგდალეულთა ეტაპს ისტორიულ-პოლიტიკური აზრის განვითაკრებაში სულ ერთი გვერდი აქვს დათმობილი. მაგრამ ამონარიდი, რომელიც გ. მელიქიშვილს ამ სტატიიდან მოაქვს, იმად ღირს, რომ მთლიანად მოვიტანოთ, რადგან მასში თეზისური სახით მოცემულია ახალი

მიდგომა, ახალი თვალსაზრისი და „ზოგიერთი განმარტებაც“ ამ ციტატის ცალკეული დებულებების მეცნიერული დასაბუთებაა.

„არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ თერგდალეულთა შეფასებაში ხშირად ჭარბობს რომელიმე კარგად ცნობილ სქემაში მათი მოთავსების სურვილი. რამდენადაც იმდროინდელი ქართული სინამდვილე, რომლის ნაყოფსაც ეს მიმდინარეობა წარმოადგენს, ღრმად თავისებურია, ყოველ შემთხვევაში იმ ცნობილ ქვეყნების ვითარებასთან შედარებით, საიდანაც აღებულია ხოლმე ეს სქემები, გასაგებია, რომ თერგდალეულთა მიმდინარეობის ბუნების გაგებაც ამ გზით არ შეიძლება ნაკლოვანი არ იყოს. პირველ ყოვლისა, სწორედ ქართული და მასთან ტიპოლოგიურად ახლო მყოფი სინამდვილის ღრმა ცოდნა მოგვცემს თერგდალეულთა იდეოლოგიის სწორად გაგების გასაღებს. ღრმა განსხვავება, კერძოდ, რომელიც არსებობდა რუსეთისა და საქართველოს სინამდვილეს შორის, ორივე ქვეყნის პროგრესული ძალების წინაშე მდგომი განსხვავებული ამოცანები, განსხვავება მოძრაობაში მონაწილე ძალების სოციალურ ბაზაში და სხვ., ვფიქრობთ, საეჭვოდ ხდის ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამოაზრეების ნ. ჩერნიშევსკისა და ტ. შევჩენკოს ტიპის რევოლუციურ-დემოკრატობის აზრს. არ შეიძლება აგრეთვე მათი სულ სხვა ნიადაგზე აღმოცენებული მარქსისტული სოციალ-დემოკრატიული მიმდინარეობის წინაპრებად გამოცხადება“ (მელიქიშვილი, 1970 : 27).

ამ ამონარიდში შეულამაზებლად, აშკარად ჩანს, რომ აკად. გ. მელიქიშვილის უკმაყოფილებას მინიმუმ ოთხი გაბატონებული თვალსაზრისი იწვევს, რომელიც თავის მხრივ, ბევრ აზრობრივ შენაკადს შეიცავს:

1. ილიას ეროვნული ოდეოლოგიის რომელიმე იდეოლოგიურ-პოლიტიკურ სქემაში ჩასმა პოლიტიკურად და მეცნიერულად შეცდომაა.
2. ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების მთავარი წყალგამყოფია ეროვნულის თუ სოციალურის პრიორიტეტი.
3. ეროვნული და სოციალური მიზნების მიღწევის უპირველესი გზა – რეფორმისტული თუ რევოლუციური.
4. ილიას და მისი თანამებრძოლების „სულ სხვა ნიადაგზე აღმოცენებული“ სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის წინაპრებად გამოცხადების სრული უსაფუძვლობა.

ვერ ვიტყვით, რომ აღნიშნული პრობლემები ილიას პოლიტიკურ-იდეოლოგიური მემკვიდრეობის მთელ მრავალფეროვნებას მოიცავს, მაგრამ იმის თქმა კი შეიძლება, რომ არსებითი, განმსაზღვრელი ასპექტებია.

ილია, თავისი ცოდნით მეცნიერების სხვადასხვა დარგში, ინტელექტის სიღრმითა და ერუდიციით, იდეებისა და იდეოლოგიების ზღვა ნაკადში მისი ქვეყნისათვის იმ კონკრეტულ-ისტორიულ პირობებში საუკეთესოს მოძებნის ინტუიციური უნარითა და პროგნოზირების უნიკალური წინასწარჭვრეტით, მსოფლიოს უდიდესი მოაზროვნე კორიფეების პირველ რიგებში დგას.

მისი გონებრივი ჰორიზონტი არ თავსდება არც საქართველოს და არც იმპერიის ჩარჩოებში და ზოგადსაკაცობრიო პროგრესული აზროვნების შენაკადი გახდა. ამას საკუთარი თავის პატივისმცემელი საბჭოთა ისტორიკოსებიც აღიარებდნენ. ილიამ, მიუთითებს აკად. ლ გორგილაძე, „საკუ-

თარი ადგილი დაიმკვიდრა ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში და თავისი ორიგინალური შენაკადი შექმნა კაცობრიობის მოწინავე აზროვნების საერთო მდინარებაში“. ამის საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, მაგრამ სადავოდ მიგვანია იმავე ავტორის დებულება, როდესაც ილიას ეროვნულ იდეოლოგიას „ეროვნული გათავისუფლების კრიტიკულ-უტოპიურ სოციალიზმს“ უწოდებს (გორგილაძე, 1987 : 128).

აკად. გ. მელიქიშვილი სტატიაში „ზოგიერთი განმარტება“ ილიას უპირველეს დამსახურებად იმას აღიარებს, რომ „იგი სათავეში ედგა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას“ და ცნობილი მეცნიერი ამ მოძრაობის უმნიშვნელოვანეს მიზნებს მოკლედ, მაგრამ მრავალმნიშვნელოვნად გადმოგვცემს: „ეპოქა, რომელშიც ილია ჭავჭავაძეს მოუხდა მოღვაწეობა, მეტად რთულ ამოცანებს აყენებდა განმათავისუფლებელი მოძრაობის წინაშე – ბატონყმობისა და მისი ნაშთების ლიკვიდაცია, ბრძოლა ცარიზმის წინააღმდეგ სოციალური თავისუფლების მოსაპოვებლად, ჩაგვრისა და ექსპლოატაციის წინააღმდეგ, დაბოლოს, ასევე მეტად საძნელო საქმიანობა ეროვნული სახის შესანარჩუნებლად და განსამტკიცებლად“ (მელიქიშვილი, 1978 ბ. : 118).

აკად. გ. მელიქიშვილს მიაჩნდა, რომ ილიას მოღვაწეობას საზოგადოების ცხოვრების ნებისმიერ სფეროში იმდროინდელი საქართველოსთვის ეროვნულ-პატრიოტული, იდეოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდა. მან ეს მნიშვნელოვანი თეზისი ილიას ისტორიული ხასიათის ნაშრომების ანალიზისას განავითარა და მიუთითა, რომ „აი ისტორიას“, „ქვათა ღაღადს“, გარდა წმინდა ისტორიული მნიშვნელობისა, ეროვნულ პოლიტიკური მნიშვნელობაც ჰქონდა. აღნიშნული პრობლემატიკით (წინა აზიისა და სამხრეთ ამიერკავკასიის უძველეს მოსახლეობასთან ქართველური ტომების ნათესაობის საკითხი) დაინტერესებამ და კვლევამ თავისი ასახვა ჰპოვა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგიაშიც, რადგან ძველი აღმოსავლეთის ცივილიზაციასთან ქართულის იდენტიფიცირებით, ჩვენი კულტურის უძველესი ძირების დემონსტრაცია მოხდა. იმ პირობებში, როდესაც ცარიზმის იდეოლოგები, მეცნიერები, ჩინოვნიკები ფართო ფრონტით უტევდნენ ქართულ ენასა და კულტურას, როცა ყოველნაირად ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ ეს კულტურა არ არის უძველესი, ან თუ ამის არგუმენტაციას ვერ შეძლებდნენ – ეს მართლაც შეუძლებელი იყო – ის მაინც დაესაბუთებინათ, რომ დღევანდელი ქართველობა არ არის ამ კულტურის მემკვიდრე, რადგან ის სხვა ხალხის მიერ არის შექმნილი, რა თქმა უნდა, ისტორიული ძიებანი მეცნიერულის გარდა იდეოლოგიურ შინაარსსაც იძენდა. ამ ფაქტორს ილია და მისი თანამებრძოლები მაქსიმალურად იყენებდნენ (მელიქიშვილი, 1970 : 330).

უნდა დავეთანხმოთ ღვაწლმოსილი მეცნიერის იმ პერიოდისათვის უაღრესად გაბედულ და ორიგინალურ თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ ილიას მოღვაწეობას, თეორიულ-მეცნიერულსა თუ სამეურნეო-პრაქტიკულს, ეროვნულ-იდეოლოგიური მიზანი და დანიშნულება ჰქონდა. ამის შედეგიც უნდა ყოფილიყო ის მდგომარეობა, რასაც აკად. გ. მელიქიშვილი აღნიშნავს: „ძნელია, მოიძებნოს ისეთი მოღვაწე და ისეთი

საზოგადოებრივი მიმდინარეობა, რომელიც ესოდენ სხვადასხვაგვარი, ერთმანეთის საწინააღმდეგო შეფასების საგანი გამხდარიყოს, როგორიც ილია ჭავჭავაძე და მისი დასი. აცხადებდნენ მათ არქირეაქციონერად, თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიის იდეოლოგად, აცხადებენ მათ ახლა რევოლუციონერებად და გლეხობის იდეოლოგებად. ბევრი კიცხავდა მათ, ხოლო ბევრი თაყვანს სცემდა და ხოტბას ასხამდა“ (მელიქიშვილი, 1978 ბ. : 118].

შეიძლება ეს პარადოქსადაც ჟღერდეს, მაგრამ ილიას ახლის ძიებით აღბეჭდილი პოლიტიკური მსოფლმხედველობა ყველა იმდროინდელი იდეოლოგიის სინთეზია, ოღონდ ეროვნულ საფუძველზე, ეროვნულ ფესვებზე დამყნობილი. პარადოქსად აქ შეიძლება ის მოგვეჩვენოს, თუ როგორ შეიძლებოდა ურთიერთდაპირისპირებული, ურთიერთგამომრიცხავი პოლიტიკური ოდეოლოგიების უმთავრესი პოსტულატებიდან შეექმნა მწყობრი, უკონფლიქტოდ მორიგებული მსოფლმხედველობრივი თეორია, რომლის ყოველი შემადგენელი ნაწილი ორგანულად ავსებს ერთმანეთს.

ილიამ ამ ზერთული ამოცანის შესრულება შეძლო იმის გამო, რომ ნებისმიერი თეორიის, დოქტრინის, იდეოლოგიის შესაბამისობის კრიტერიუმი რეალურ პირობებთან ილიასათვის ერთადერთი იყო – რამდენად წინ წასწევდა, რამდენად აამოძრავებდა კოლონიურ პირობებში მყოფ ქვეყანას და მის მამოძრავებელ ძალებს.

გასაკვირი არაფერია იმაში, რომ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფორმაციების და, შესაბამისად, მისი განმსაზღვრელი იდეოლოგიების ცვალებადობასთან ერთად ღირებულებების შეფასების კრიტერიუმებიც იცვლება. ილიას, როგორც მოაზროვნის, სიძლიერე, მისი პროგრესულობა სწორედ იმაშია, რომ ის რევოლუციონერ-დემოკრატებს, ნაროდნიკებს, სოციალ-დემოკრატებს და რუსულ მემარცხენე-რევოლუციურ მიმდინარეობებს კი არ მიეკედლა, როგორც არაერთი ქართველი მოაზროვნე და პოლიტიკოსი, არამედ თავისი მზერა მიაპყრო დასავლეთის მოაზროვნეთა იმ ნაკადს, რომლებიც მუდმივი რეფორმების თანმიმდევრული პრინციპის განხორციელებით პოლიტიკური ცივილიზაციის უმაღლეს მწვერვალებს იპყრობდა (დიდი ბრიტანეთის მაგალითი).

საბჭოთა პერიოდის საზოგადოებათმცოდნეები ილიას პოლიტიკური თეორიების, კონცეფციების, იდეოლოგიის წყაროებს ეძებდნენ რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების და ნაროდნიკების თეორიებში, დასავლური განმანათლებლობისა და უტოპიური სოციალიზმის წარმომადგენელთა შრომებში, ჰეგელის დიალექტიკისა და ფოიერბახის რელიგიურ იდეალიზმში, ნაცვლად იმისა, რომ ეს წყაროები ეძებნათ: პოლიტიკის ფილოსოფიაში ჰ. სპენსერ - ჩ. დარვინის არსებობისათვის ბრძოლის და შემგუებელთა გადარჩენის კანონში; ლიბერალური იდეოლოგიის საფუძველზე ქვეყნის დემოკრატიზაციისა და სოციალური სახელმწიფოს თეორიული წანამძღვრების სფეროში ჯონ სტიუარტ მილის – ლიბერალიზმის მწვერვალის ნაშრომებში; კონსერვატიზმის და ტრადიციონალიზმის, როგორც ქვეყნის სტაბილიზაციისა და მდგრადი განვითარების ფაქტორების შესახებ ე. ბერკის ნააზრევში; ყველა საშინაო და საგარეო პრობლემების

გადაწყვეტაში, საპარლამენტო კონსენსუსის გათვალისწინებით ინგლისელი ლიბერალების ლიდერის, „ბრძენი“ და „ზნეობრივი“ (რაც ასე გამონაკლისი იყო პოლიტიკაში) გლადსტონის მოღვაწეობაში; ძალაზე დამყარებული საგარეო პოლიტიკა ბისმარკის, ინგლისელი კონსერვატორების ლიდერის, მრავალგზის პრემიერის ლორდ ბიკონსფილდის მოღვაწეობაში; პოლიტიკური სისტემების ანალიზი და მოსალოდნელი გამოწვევები, რევოლუციისა და მშვიდობიანი რეფორმირების, რევოლუციისა და ევოლუციის პრობლემები ფრანგი მეცნიერის ალექსის დე ტოქვილის შრომებში და სხვა.

რევოლუციონერ-დემოკრატების იდეურ-პოლიტიკური გავლენა ილიას ეროვნულ თეორიასა და იდეოლოგიაზე, საბჭოთა საზოგადოებათმცოდნეობისათვის საყოველთაოდ მიღებული ფაქტია, მაგრამ მეცნიერულ მკრეხელობად ითვლება ილიას, როგორც მოაზროვნის, გატოლება რომელიმე მათგანთან, ვთქვათ, ნ. ჩერნიშევსკისთან. ილიას მემკვიდრეობის დაუღალავი მკვლევარი პ. რატიანი, რომელმაც საკავშირო მკითხველსაც გააცნო თავისი ნაშრომები, წერდა: „თავისი განათლებით, ცოდნის მრავალმხრივობით, პროგრესული იდეებით, აზროვნების სიღრმითა და გაქანებით, უაღრესად ფართო მეცნიერული ერუდიციით იგი მხარს უსწორებს აზროვნების მსოფლიო კორიფეებს. ამ მხრივ, ილია ჭავჭავაძე შეიძლება შევადაროთ ისეთ გამოჩენილ ადამიანებს, როგორებიც იყვნენ: ბელინსკი, გერცენი, ჩერნიშევსკი, დობროლუბოვი, ვოლტერი, რუსო, დიდრო, ლესინგი. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ რაც ჟან-ჟაკ რუსო იყო საფრანგეთისთვის, ლესინგი – გერმანიისთვის, ხოლო ჩერნიშევსკი – რუსეთისთვის, ის ილია ჭავჭავაძე იყო საქართველოსთვის“ (რატიანი, 1954 : 383).

თავის დროზე ამ გაბედულმა მოსაზრებამ საბჭოთა საზოგადოებათმცოდნეებში ცხოველი კამათი გამოიწვია. ზოგს მიაჩნდა, რომ რუსოსთან ან ჩერნიშევსკისთან შედარება ილიასათვის მეტისმეტი პატივი იყო. „ილია ჭავჭავაძის ფილოსოფიური შეხედულება მატერიალისტურია, მისი მეთოდოლოგიური პრინციპი დიალექტიკურია“, მაგრამ ჩერნიშევსკისთან მისი გატოლება უხერხულია, ან მიზანშეუწონელი, რადგან „ილია ჭავჭავაძის სოციალ-პოლიტიკური შეხედულება დიდი რუსი მატერიალისტების სოციალ-პოლიტიკურ თვალსაზრისამდე არ ამაღლებულა“, – მიაჩნდა პროფესორ ა. თავაძეს (თავაძე, 1951 : 38).

„ჩვენში თითქმის არცერთი მკვლევარი არ უარყოფს იმ ფაქტს, რომ თერგდალეულები აღიზარდნენ ჩერნიშევსკისა და მისი თანამოაზრეების იდეებზე“, – აღნიშნავდა პროფ. პ. რატიანი (რატიანი, 1962: 33). პროფ. ვ. გაგოიძე მიუთითებდა, რომ „ილია ჭავჭავაძის მსოფმხედველობა მართლაც რუსეთის რევოლუციონერ-დემოკრატიული და მატერიალისტური იდეების გავლენით ჩამოყალიბდა“ და რომ „საქართველოს მოამბე... 60-იან წლებში ქართველი რევოლუციონერ-დემოკრატების ორგანო იყო“ (გაგოიძე, 1962 : 234). ზოგი ავტორი ილიას ზოგად მსოფმხედველობას კი არა, მისი კონკრეტული ასპექტების ფორმირებასაც ჩერნიშევსკის გავლენას მიაწერდა: „განმათავისუფლებელი შრომის იდეა ი. ჭავჭავაძეს აღებული აქვს ნ. ჩერნიშევსკის დემოკრატიული აზროვნების გავლენის შედეგად“ (აბაშელი, 1937 : XIX).

საბჭოთა ისტორიოგრაფიის ერთ უმნიშვნელოვანეს თეორიულ მეთო_ დოლოგიურ ნაკლად აკად. გ. მელიქიშვილს მიაჩნია ის გარემოება, რომ „თერგდალეულთა შეფასებაში ხშირად ჭარბობს რომელიმე კარგად ცნობილ სქემაში მათი მოთავსების სურვილი“.

საზოგადოებათმცოდნეობაში ამ საყოველთაოდ აღიარებული პოს-ტულატის კრიტიკული განხილვა, ასეთი დაუფარავი, პირდაპირი ფორ_ მით, არც მანამდე და არც შემდეგ, არავის გაუბედავს. გაბედვაზე იმიტომ ვლაპარაკობთ, რომ საქმე ეხება ილიას და მისი თანამებრძოლების რევო-ლუციონერ-დემოკრატ რაზნოჩინელებთან და მარქსისტ სოციალ-დემო-კრატებთან იდეურ-პოლიტიკური დამოკიდებულების მიმართებებსა და ხასიათს.

ამ ორი რევოლუციური იდეოლოგიის სქემაში ილიას ნააზრევისა და ნამოქმედარის ჩასმა ორ სხვადასხვა მიდგომას გულისხმობდა – რევოლუციონერ-დემოკრატების მიმართ გავლენას, მოწაფეობა-მასწავ-ლებლობას, ხოლო მარქსისტული იდეოლოგიის მიმართ მისი გავრცელე-ბისათვის საზოგადოების ცნობიერების მომზადებას და ხელის შეწყობას.

ამ პრობლემის სამეცნიერო დისკუსიაში შემოტანა გარკვეულ რისკთან იყო დაკავშირებული, რადგან ოფიციოზს პარტიული დოკუმენტები უმაგრებდა პოზიციებს. კომუნისტური პარტიის მთავარი იდეოლოგიური ორგანოს „პრავდის“ 1937 წ. სექტემბრის მოწინავეში, ილიას ნაწილობრივი რეაბილიტაციის ფონზე, მითითებული იყო თეზისი, რომელიც იდეო-ლოგიურ სფეროში დირექტიულ მოთხოვნად შეიძლება ჩაითვალოს: რუ-სული რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის ბელადების – ბელინსკის, დობროლიუბოვის, ჩერნიშევსკის, გერცენის გავლენით, რომელთა იდეებს ჭავჭავაძე გაეცნო პეტერბურგის უნივერსიტეტში ყოფნის დროს, განმტკიცდა მისი სიძულვილი ექსპლოატატორული წყობილების მიმართ, ჩამოყალიბდა მისი შეხედულებები ლიტერატურასა და ხელოვნებაზე.

პარტიის უმაღლეს იდეოლოგიურ ორგანოში გამოცხადებულმა ამ თვალსაზრისმა ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე მნიშვნელოვნად გან-საზღვრა ილიას პოლიტიკური მემკვიდრეობის ერთი ძირითადი მი-მართულებით კვლევა და გარკვეულ იდეოლოგიურ ჩარჩოში მოაქცია.

იდეოლოგიური დირექტივის მიღების შემდეგ საბჭოთა საზოგა-დოებათმცოდნეობა იმით იყო დაკავებული, რომ ეჩვენებინათ ილიას და თერგდალეულების იდეურ-პოლიტიკური „მსგავსება“ ან „გავლენა“, რაც უფრო მისაღები იყო, და ბოლოს „მოწაფეობა“, როგორ ცდილობდნენ ქართველი „მოწაფეები“ რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების დონემდე ამაღლებას:

„ამჟამად არავისთვის აღარ არის სადავო ის ფაქტი, რომ მე-19 საუკუნის საქართველოს 60-იანი წლების პროგრესული მოღვაწეები, ე.წ. თერგდალეულები, რომელთა იდეური ბელადი ილია ჭავჭავაძე იყო, განიცდიდნენ რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწეების – გერცენის, ბელინსკის, ჩერნიშევსკის და დობროლუბოვის უშუალოდ გავლენას“.

„...ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და 60-იანი წლების ზოგიერთი სხვა პროგრესული მოაზროვნე, მსგავსად თავიანთი რუსი მასწავლებლებისა, უდავოდ ამ განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწეები იყვნენ“, – მიუთითებს პროფ. პ. რატიანი (რატიანი, 1962 : 12,13).

60-იან წლებში რუსეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში იდეური შინაარსის ახალი მიმდინარეობები გამოჩნდა. ამ პერიოდში აღმოცენდა რადიკალური პოლიტიკური მოთხოვნები და ამის ფონზე ასეთივე საზოგადოებრივი აქციები. ამ პერიოდში აზროვნების ორი შტო გაერთიანდა რუსულ ნიადაგზე – რუსული უტოპიური (გლეხური) სოციალიზმი და რადიკალური „რაზნოჩინური“, რევოლუციური ინტელიგენცია.

ამ მრავალმხრივი მიმდინარეობის დამაკავშირებელი იდეა იყო ისტორიული მემკვიდრეობების სპეციფიკური გააზრება, „რუსული გზის“ განუმეორებლობა და გამორჩეულობა, რაც ყველაზე მკაფიოდ, კონცენტრირებულად რუსულ თემის თეორიაში აისახა.

ამასთან დაკავშირებით არჩ. ჯორჯაძე აღნიშნავდა: „რაკი ამგვარი ფორმა მიწის მფლობელობისა არსებობდა რუსეთში, ხოლო დასავლეთ ევროპაში ინდივიდუალური საკუთრება იყო გამეფებული, ეს გარემოება საკმარისი იყო სლავიანოფილობისათვის, რუსეთი და დასავლეთ ევროპა ერთმანეთისათვის დაეპირისპირებინათ. ამასთან, უნდა აღვნიშნოთ, რომ საერთო მიწის მფლობელობა მათ თვალში განსაზღვრული ეთიკური ნორმის გამომხატველი იყო და არა ეკონომიკური კონცეფცია. ევროპას ინდივიდუალიზმი შთანთქავს, რუსეთს კი თემობა გადაარჩენსო“ (ჯორჯაძე, 1989 : 515, 516).

ილია რუსული სოფლის სპეციფიკის, თემის ფუნქციონირების პირობებს მრავალჯერ დაუბრუნდა, მაგრამ ვერსად შეხვდებით იმ მოსაზრებების გაზიარებას, რომლებსაც სლავიანოფილები, რევოლუციონერი „რაზნო_ჩინელები“ ამტკიცებდნენ.

ილია მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ასეთ წესში ვერც „კოლექტივიზმის“ და ვერც „სოციალიზმის“ ჩანასახებს თუ უჯრედებს ხედავდა. მისთვის მიუღებელი იყო უტოპიური, ცრუმეცნიერული, რევოლუციური დოქტრინები რუსი გლეხის განსაკუთრებული, სოციალისტურ-კოლექტივისტური ბუნების, კერძო საკუთრების უარყოფის შესახებ, რამაც რუსეთის საზოგადოების სტაბილურობას და დემოკრატიას მრავალი დაყოვნებული მოქმედების ნაღმი ჩაუდო.

ამიტომ თვლიდა აკად. გ. მელიქიშვილი, რომ სხვადასხვა ნიადაგზე აღმოცენებული და განსხვავებული მიზნების მქონე ორი იდეოლოგიის ერთ სქემაში მოთავსება მეცნიერულად შეცდომაა და პრაგმატული პოლიტიკის თვალსაზრისით საზიანო.

ილია ვერ დაეთანხმებოდა რევოლუციონერ „რაზნოჩინელებს“ კაპიტალიზმის, საბაზრო ეკონომიკის შეფასებაში. ცნობილია, რომ ახალი ფორმაციის საბოლოო დამკვიდრების ეპოქას, XIX საუკუნეს, ილია ადამიანის გონებისა და შესაძლებლობების ტრიუმფის, „შეუძლებლის“ განზე გაწევის საუკუნედ თვლიდა და მიაჩნდა, რომ ამ ასწლეულში კაცობრიობამ უფრო მეტ პროგრესს მიაღწია, ვიდრე ყველა წინამდებარე საუკუნეში ერთად აღებულმა.

ა. გერცენი ბურჟუაზიული სახელმწიფოს და მისი ინსტიტუტების მიმართ კატეგორიულად უარყოფითად იყო განწყობილი, რადგანაც პოლიტიკური შულერებისა და ბირჟის სპეკულიანტების ანონიმურ საზოგადოებად თვლიდა. მას არც ბურჟუაზიული დემოკრატია და მისი უმთავრესი საფუძველი, პარლამენტარიზმი მოსწონდა.

დიდი ეჭვით უყურებდა კაპიტალიზმის პროგრესულობას და, ზოგადად, მის კეთილმყოფელ გავლენას საკაცობრიო ცივილიზაციაში ვ. გ. ბელინსკიც: „უბედურია სახელმწიფო, რომელიც კაპიტალისტების ხელშია“ – ასეთი იყო მისი დამოკიდებულება აღმავალი ფორმაციისადმი „წერილში გოგოლისადმი“.

მიუხედავად ასეთი სხვადასხვაობისა პრინციპულ მსოფლმხედველობრივ ასპექტებში, საბჭოთა საზოგადოებათმცოდნეობა ცდას არ აკლებდა, რომ, როგორც აკად. გ. მელიქიშვილი წერდა, თერგდალეულები „რომელიმე კარგად ცნობილ სქემაში ჩაესვათ“. აქ, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება ილიას ეროვნული იდეოლოგიის რუსი რაზნოჩინელების, რევოლუციურ-დემოკრატიული (ნ. ჩერნიშევსკი და სხვა) იდეოლოგიის სქემებში ჩასმა, რაც გამოჩენილი მეცნიერისათვის კატეგორიულად მიუ_ ღებელია: „ღრმა განსხვავება, კერძოდ, რომელიც არსებობდა რუსეთსა და საქართველოს სინამდვილეს შორის, ორივე ქვეყნის პროგრესული ძალების წინაშე მდგომი განსხვავებული ამოცანები, განსხვავება მოძრაობაში მონაწილე ძალების სოციალურ ბაზაში და სხვა, ვფიქრობთ, საეჭვოს ხდის ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამოაზრეების ნ. ჩერნიშევსკისა და ტ. შევჩენკოს ტიპის რევოლუციონერ დემოკრატების აზრს“ (მელიქიშვილი, 1978 ბ. : 118).

ყველა უმნიშვნელოვანეს ეტაპზე, როდესაც ქვეყნის წინაშე დგება დილემა – განვითარების ნაციონალური მოდელის შესახებ, ელიტური ჯგუფები რუსეთის სპეციფიკურობას განიხილავენ, როგორც უმთავრეს პრობლემას. ასე იყო ყოველთვის და ასეა ახლაც, როდესაც კრემლის იდეოლოგებმა შეიმუშავეს, ფაქტობრივად, სლავიანოფილობის ძველი ტრადიციების საფუძვლებზე „სუვერენული დემოკრატიის“ ახალი კონცეფცია.

„განსაკუთრებული გზა“ საუკეთესო საშუალებაა იმისათვის, რომ გადაუხვიო საკაცობრიო პოლიტიკური ცივილიზაციის გაკვალულ გზებს და ნაკლებად გაითვალისწინო მისი მიღწევები. „განსაკუთრებული გზა“ საუკეთესო მეთოდია იმისათვის, რომ ყალბად გაგებული სახელმწიფო ინტერესების პრიორიტეტით უგულებელყო პიროვნების ინტერესები და უფლებები.

ილიას ეროვნული იდეოლოგიის პოლიტიკური მოძღვრებების გარკვეულ სქემაში, ამჯერად მარქსისტულ-ლენინური რევოლუციური იდეოლოგიის სქემაში ჩასმის მცდელობას ქართული საზოგადოებათმცოდნეობის მრავალმა წარმომადგენელმა მოახმარა თავისი უნარი და განსწავლულობა. მაგრამ მათი არგუმენტაცია ფაქტობრივ მასალას ვერ დაეყრდნობოდა, რადგან პრინციპების დონეზე დაპირისპირებული ორი იდეოლოგია ერთმანეთთან შეუთავსებელ საფუძვლებზე იყო აშენებული. იმის გათვალისწინებით, რომ ილიას და თერგდალეულების მოღვაწეობა

ქრონოლოგიურად წინ უსწრებდა მარქსისტების პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენას, მათ შორის იდეური მემკვიდრეობითი კავშირების დადგენა სცადეს და ილიას რევოლუციონერობაც დააბრალეს.

თავიანთი სტრატეგიული მიზნების გამომჟღავნებისათვის სოციალ-დემოკრატები გამოჩენილი ადამიანების გარდაცვალების გამო შეკრებილ მრავალრიცხოვან პროცესიას თავიანთი პროპაგანდისტული მიზნებისთვის იყენებდნენ. გამონაკლისი არც ილიას გარდაცვალება აღმოჩნდა. ამ შემთხვევაშიც, ისევე როგორც მანამდე, ცნობილი და გავლენიანი პიროვნებების (ეგ. ნინოშვილის, გ. წერეთლის, შემდგომ კი არჩ. ჯორჯაძის და აკაკის) დაკრძალვას იდეოლოგიური დატვირთვა მისცეს და ამაში უზნეობას ვერ ხედავდნენ ვერც გარდაცვლილის ოჯახის და ვერც გულწრფელად დამწუხრებული საზოგადოების წინაშე.

ამჯერად ზოგად ადამიანურ ეთიკასთან და ქართულ ეროვნულ ტრადიციებთან წინააღმდეგობრივი პოლიტიკური მისია იკისრა კავკასიის მასშტაბით (შემდგომ იმპერიის მასშტაბითაც) სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთმა ლიდერმა კარლო ჩხეიძემ. მან ილიას ცხედართან მისი მთავარი დამსახურება იმით შემოსაზღვრა, რომ განსვენებულმა „ბატონყმური ცხოვრების საზიზღრობა“ უჩვენა საზოგადოებას. სხვათა შორის, ჩემი ვარაუდით, აქ პირველად კ. ჩხეიძემ გამოთქვა ერთი თვალსაზრისი, რომელიც შემდგომ საბჭოთა ისტორიოგრაფიის ერთი უმთავრესი თეზისთაგანი გახდა. ამ ნიჭიერმა ორატორმა და რწმენით მარქსისტმა (სახელი ნიკოლოზი მარქსის პატივსაცემად კარლოდ გადაიკეთა), თავისი სიტყვა იმით დაიწყო, რომ ილია არა ეროვნულ ლიდერად, ერის ინტერესების გამომხატველად, არამედ მხოლოდ თავადაზნაურული სოციალური ფენის თანამგრძნობად წარმოაჩინა. „ჭეშმარიტებაზე ძლიერ შორს იქნება, თუ ვინმე იტყვის: თითქო, ჩვენ ყველანი ერთნაირად უყურებდეთ შენს წარსულს, ყველანი ერთ რიგათ ვცემდეთ პატივს და ვაფასებდეთ შენს მოღვაწეობას. დაე, გიტიროს შენ, როგორც შეგნებული მესაკუთრე, თავად-აზნაურობამ, საზოგადოდ, ჩვენი საზოგადოების იმ ნაწილმა, რომელიც მშრომელი ხალხის შრომის ნაყოფით ცხოვრობს. დაე, მოვიდნენ და პატივი დაგდვან შენ ძალაუფლების ადგილობრივმა წარმომადგენლებმა, როგორც თანამედროვე სახელმწიფოებრივი პრინციპების მომხრეს. დაე, გაქონ და გადიდონ შენ შოვინისტებმა როგორც მამულის შვილი. ჩვენ, რა თქმა უნდა, არ შევუერთდებით ასეთების ქებათა ქებას“ – აღნიშნა ამიერკავკასიის სეიმის მომავალმა თავმჯდომარემ. მან მკაფიოდ ჩამოაყალიბა ის სოციალური ჯგუფები, რომლებსაც აქვთ საფუძველი, სერიოზულად იგლოვონ ილია.

ილიას ნაღვაწში მათთვის უპირველესად მისაღები იყო ბატონყმობის მკაცრი კრიტიკა, მის წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლა, რომლითაც გამოაღვიძა ახალი თაობები: „ჩვენში შენ ერთი პირველთაგანი იყავი, რომელიც... ჩადექი იმ მცირე რაზმში, რომელმაც იკისრა მეთაურობა მაშინდელი საზოგადოების და შენი ნიჭის და პოეტური შემოქმედების საგნათ დაისახე დაგესურათხატებია ჩვენთვის ბატონ-ყმური ცხოვრების საზიზღრობა... შენ გესლიანი ენით დასცინე და სასიკვდილოთ მოშხამე, ვინც დიდებით და პატივით იყო წინეთ მოცული... შენ დაუპირისპირე

ერთი მეორეს – თავადი დათიკო და გლეხი გაბრო და დაგვანახე, რომ მათი ერთად არსებობა შეუძლებელია, რადგან პირველის ბედნიერება, მეორის უბედურებაზეა აგებული, სადაც პირველი იცინის, იქ მეორე უნდა სტიროდეს, როცა ერთი მაძღარია, მეორეს უნდა შიოდეს, როცა დათიკოს თბილა, გაბროს ცივა“ (დასურათებელი კრებული, 1907 (1989) : 204, 205).

რაოდენ პარადოქსულადაც უნდა ჟღერდეს, კ. ჩხეიძემ ილიას ერთ მთავარ დამსახურებად კლასობრივი დაპირისპირების ისეთი ხასიათი აღიარა, რომლის შერიგება კი არა, შერბილებაც კი შეუძლებელი ჩანდა. ქართული საზოგადოების წინაშე მეორე დიდ დამსახურებად კ. ჩხეიძეს მიაჩნდა ის, რომ ბატონყმობის და თვითმპყრობელობის მკაცრმა კრიტიკამ „ხელი შეუწყო ჩვენი ცხოვრების ასპარეზზე გამოსულიყო ახალი თაობა, რომელმაც კლასთა ბრძოლა საზოგადოებრივი ცხოვრების უმთავრეს მამოძრავებელ ძალად, მთავარ ღერძად აღიარა“ (აბაშიძე, 2005 : 180).

როგორც ჩანს, ილიას ეროვნულ-პოლიტიკურ მსოფლმხედველობას, რომელმაც დაიპყრო ქართული განათლებული საზოგადოების უმრავ-ლესობა, კ. ჩხეიძე მარქსიზმის გავრცელებისათვის საზოგადოების იდეური მომზადების პირველ საფეხურად განიხილავდა. ილიას დამ-სახურება ქვეყნისა და სოციალ-დემოკრატიის წინაშე იმაშია, რომ საზოგადოების ცნობიერებას მარქსიზმამდე მისვლაში დაეხმარა, რადგან „შენი იმდროინდელი შემოქმედებითი მუშაობით ხელი შეუწყვე ჩვენი საზოგადოების თვითცნობიერებას, რომ ჩვენ შეგვყვარებია აღნიშნული მოძღვრება“ (აბაშიძე, 2005 : 180).

ამრიგად, სრული საფუძვლით უნდა დავეთანხმოთ აკად. მ. მელი-ქიშვილის მტკიცებას იმის შესახებ, რომ თერგდალეულთა იდეოლოგიის რომელიმე ცნობილ სქემაში მოთავსების სურვილი ხელოვნური და მიუღებელია, რადგან „იმდროინდელი ქართული სინამდვილე, რომლის ნაყოფსაც ეს მიმდინარეობა წარმოადგენს, ღრმად თავისებურია“. ცნობილი მეცნიერი ქვეყნის დასახელების გარეშე მიუთითებს, რომ იმ ქვეყნების ვითარება სრულიად განსხვავებულია, ასევე განსხვავებულია პროგრესული ძალების გამოწვევები და მათი გადაჭრის გზები: „პირველყოვლისა, სწორედ ქართული და მასთან ტიპოლოგიურად ახლოს მყოფი სინამდვილის ღრმა ცოდნა მოგვცემს თერგდალეულთა იდეოლოგიის სწორად გაგების გასაღებს“. ქვეყნის წინსვლის მთავარი ბერკეტი მისი სინამდვილის ყოველმხრივი პოლიტიკური ანალიზია და არა სხვა ქვეყანაში, იქაურ სინამდვილეში აღმოცენებული თეორიები – მიაჩნდა ბატონ გ. მელიქიშვილს. შემდეგ ის აღნიშნავს, რომ „თავისი, როგორც ეროვნული, ისე სოციალური იდეების მისაღწევად თერგდალეულები, ილია ჭავჭავაძის ჯგუფი, უარყოფდნენ ძალმომრეობითი რევოლუციის გზას. (ამიტომაც შეცდომაა, როდესაც მათ რევოლუციონერ-დემოკრატებს უწოდებენ)...“ კითხულობ ღვაწლმოსილი მეცნიერის მიერ „დინების საწინაღმდეგოდ“ გამოთქმულ ამ მართალ მოსაზრებას და გახსენდება, რომ ნახევარი საუკუნის შემდეგ ანალოგიური მოსაზრებები სხვებსაც გაგვიჩნდა, მაგრამ მაშინ ის „დინების საწინააღმდეგო“ უკვე აღარ იყო.

აკად. გ. მელიქიშვილი მიუთითებს, რომ „მსგავსი დებულებანი (ილიას და მისი ჯგუფის რევოლუციონერ-დემოკრატებთან მიმსგავსება ან მიკუთვნება, ო.გ.) ისტორიულ სინამდვილეს არ შეეფერება“. რაც შეეხება თერგდალეულების შეფასების დროს რომელიმე ცნობილ სქემაში მათი ჩასმის მისწრაფებას, აკად გ. მელიქიშვილი აკეთებს ერთადერთ სწორ მეცნიერულ და ლოგიკურ დასკვნას: „შეუძლებელია ილიას და თერგდალეულების, სულ სხვა ნიადაგზე აღმოცენებული მარქსისტული სოციალ-დემოკრატიული მიმდინარეობის წინაპრად გამოცხადება“ (მელიქიშვილი, 1978 ბ. : 121).

უნდა აღინიშნოს, რომ გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან ასე მკვეთრად და იმგვარად, რომ სხვაგვარი წაკითხვა შეუძლებელი ყოფილიყო, არა, მაგრამ ობიექტურობასთან მიახლოებული მოსაზრებები ზოგ ქართველ მეცნიერსაც ახასიათებდა. მათ აღარ აკმაყოფილებდათ ილიას პოლიტიკური მსოფლმხედველობის ნ. ჩერნიშევსკის გავლენასთან დაკავშირება და მის „თარგზე გამოჭრა“. პროფ. ა. სურგულაძე ილიას დაბადების 140-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო კრებულში (1977 წ.), როდესაც ილიას და მისი თანამებრძოლების პოლიტიკური იდეოლოგიის ნიშნებზე საუბრობდა, მიუთითებდა: „მათი მოძღვრება... ქართული სინამდვილიდან ამოდიოდა და ქართული საზოგადოების პროგრესს ემსახურებოდა. ისინი არც ლიბერალები იყვნენ, არც ნ. ჩერნიშევსკის თარგზე გამოჭრილი რევოლუციონერ-დემოკრატები, არც წვრილი ბურჟუაზიის იდეოლოგები, მიუხედავად იმისა, რომ თითოეული ამ მიმართულების ცალკე ელემენტები მოიპოვება მათ მხატვრულ შემოქმედებასა და პუბლიცისტიკაში, ცხადია, არა ეკლექტიკური ნარევის, არამედ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგიის ორგანული შემადგენელი ნაწილის სახით“ (სურგულაძე, 1977 : 232).

ილიას და რუს რაზნოჩინელებს რომ სრულიად განსხვავებულ პირობებში უხდებოდათ მოღვაწეობა და, შესაბამისად, მიზნებიც განსხვავებული ჰქონდათ, ამის შესახებ შთამბეჭდავად წერს აკად. ლ. გორგილაძე. დროებიდან და გარემოებებიდან გამომდინარე, არ უარყოფს, რომ ილია, აკაკი და სხვა თერგდალეულები რევოლუციური დემოკრატების მიმდევრები იყვნენ, „მაგრამ რუს და ქართველ რევოლუციურ დემოკრატთა შორის იგივეობის ნიშნის დასმა სწორი არ იქნებოდა. ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების განსხვავებულმა პირობებმა განაპირბა თერგდალეულთა შეხედულებების თავისებურება და ორიგინალობა. რუსი რევოლუციონერ-დემოკრატები – გერცენი და ჩერნიშევსკი ცდილობდნენ პასუხი გაეცათ კითხვაზე: „ვინაა დამნაშავე“, „რა ვაკეთოთ?“ მაშინ, როდესაც მათ ქართველ მიმდევარ რევოლუციონერ დემოკრატებს განსაკუთრებით აღელვებდათ „ბედი ქართლისა“ (გორგილაძე, 1963 : 7).

კიდევ ერთ არსებით განსხვავებას რუს რევოლუციონერ-დემოკრატებსა და ილიას მსოფლმხედველობას შორის აკად. ლ. გორგილაძე იმაში ხედავდა, რომ: „ბელინსკის და ჩერნიშევსკის რევოლუციური დემოკრატიზმი უტოპიური სოციალიზმის ფორმას ატარებდა, ილიასა და აკაკის რევოლუციური დემოკრატიზმი კი პატრიოტულ-დემოკრატიულ ფორმაში ვლინდებოდა. მათ იტაცებდათ არა იმდენად დასავლეთის სოციალ-უტოპისტები,

რამდენადაც დასავლეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისეთი სახალხო გმირები, როგორიც იყო გარიბალდი“ (გორგილაძე, 1963 : 7, 8).

უფრო მკვეთრ, მიზანმიმართულ და აკად. გ. მელიქიშვილის მოსაზრებებთან თანაზიარ აზრებს გამოთქვამდა პროფ. ვ. შადური, როდესაც ის ილიას ეროვნული იდეოლოგიის გნოსეოლოგიურ წყაროებს არკვევდა: „ზედმეტად მიგვაჩნია იმის მტკიცება, რომ ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობისა და მრავალმხრივი შემოქმედების დაუშრეტელი წყარო იყო საქართველოს რეალური სინამდვილე და რუსთაველისა და ბარათაშვილის სამშობლოს მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა. მისი შემოქმედება, რომელიც ქართულ ნიადაგზე იშვა და ღრმად ეროვნულ, თვითმყოფად ხასიათს ატარებდა, მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურის კანონზომიერ განვითარებას და შემდგომ გაღრმავებას წარმოადგენდა.

რაც შეეხება რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიულ მოძრაობას, იგი სპეციფიკური რუსული ნაციონალური და ისტორიული მოვლენა იყო“ (შადური, 1987 : 118).

საბჭოთა მეცნიერებმა – საზოგადოებათმცოდნეებმა ენერგია არ დაიშურეს იმისათვის, რომ იდეური თანამოაზრეობის და მოსწავლე-მასწავლებლობის ურთიერთობების გარდა, ილია და ნ. ჩერნიშევსკი პირად მეგობრებად, ყოველ შემთხვევაში, ახლო ნაცნობებად გამოეყვანათ. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ მიუხედავად მრავალგვარი ცდისა, მათ სათანადო პირადი ურთიერთობის საჭირო არგუმენტაცია ვერ წარმოადგინეს.

გავლენასა და მოწაფეობას ვერ დავეთანხმებით, მაგრამ როგორც მოაზროვნეს, ილია დიდ პატივს სცემდა ნ. ჩერნიშევსკის. მისი, როგორც მოაზროვნის და საზოგადო მოღვაწის შეფასება ილიას სხვადასხვა პროცესთან დაკავშირებით მოუხდა და ის ყოველთვის ზეაღმატებულ ხარისხში აჰყავდა. მწერლის და საზოგადო მოღვაწის ნ. შელგუნოვის გარდაცვალებისადმი მიძღვნილ ნეკროლოგში ილია აღნიშნავდა: „შელგუნოვი ერთად მუშობდა იმისთანა ბუმბერაზებთან, როგორნიც იყვნენ ჩერნიშევსკი, დობროლუბოვი და შემდეგ პისარევი“ (ჭავჭავაძე, 1991 : 516).

ილია ყოველთვის აღნიშნავდა, რომ ყოვლად გაუმართლებელია რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა იდეოლოგიის პირდაპირი გადმონერგვა საქართველოში. ეს იდეები მან შეითვისა, თავის სამშობლოს სპეციფიკურ პირობებს შეუფარდა, ფუძედ ქართული ეროვნული მემკვიდრეობა და არსებული სინამდვილე დაუდო და ზოგი მისი დებულება თავის ეროვნულ იდეოლოგიაში შემოქმედებითად გამოიყენა.

მან გენიალურად განჭვრიტა, რომ პოზიტიური, რაციონალური, რეფორმისტული, აპრობირებული, ევროპული გამოცდილების ადგილს რუსულ საზოგადოებრივ ცნობიერებაში იკავებდა რევოლუციონერ-დემოკრატების, სლავიანოფილების, „რუსული სოციალიზმის“ აპოლოგეტების, ნაროდნიკების, ტერორისტ-რევოლუციონერების იდეოლოგიები, რამაც განსაზღვრა რუსული საზოგადოების ფრაგმენტულობა, რადიკალიზმი, აგრესიულობა და რევოლუციურობა.

ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების უგულებელყოფამ, სიმძიმის ცენტრის ადგილობრივ, ილუზორულ სპეციფიკაზე გადატანამ განაპირობა რეფორმებისადმი დამოკიდებულება როგორც ხელისუფლების, ასევე რევოლუციონერ-რადიკალების მხრიდან. ა. გერცენი, რომლის პოლიტიკური ფილოსოფია ნაროდნიკობის იდეური წყარო გახდა, ზოგადად რეფორმების მომხრე იყო, მაგრამ არ სჯეროდა რუსეთის რეფორმირების. ჩერნიშევსკიც თავის რევოლუციონერობას იმით ამართლებდა, რომ რუსეთში სერიოზული რეფორმა შეუძლებელი იყო. ის რეფორმების მიმართ უფრო სკეპტიკურად იყო განწყობილი, ვიდრე გერცენი, რადგან თვლიდა, რომ მშვიდობიანი ცვლილებები ყოველთვის სოციალურად შეზღუდულია, ხოლო რუსეთში მისი განხორციელება შეუძლებელი. მაგრამ იყო ერთი საკითხი, რომელშიც ილია კონკრეტულ-ისტორიული პირობებიდან გამომდინარე დაეთანხმებოდა, მხარს დაუჭერდა „რაზნოჩინელების“ ბელადს და შეიძლება მისთვის მიუღებელი სხვა საკითხები უმნიშვნელოდ ჩაეთვალა. ეს იყო მათი ეროვნული პროგრამა. გასაგებია, რომ ა. გერცენის პრინციპი, რომელიც გულისხმობდა თითოეული ეროვნების უფლებას, თვით განესაზღვრა თავისი ბედი, დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბების ჩათვლით, ილიასათვის უმთავრესი ღირებულება იყო.

რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის ბელადი ჩერნიშევსკი იმპერიის არარუსი ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას განიხილავდა როგორც საერთო-რუსული რევოლუციის შემადგენელ ნაწილს.

ილიასა და მისი თანამებრძოლებისათვის, რა თქმა უნდა, უშენიშვნოდ მისაღები იქნებოდა ჩერნიშევსკის შემდეგი მოსაზრება: „იყოლიო შენს დამოკიდებულებაში სხვა ტომის ხალხი, რომელიც აღშფოთებულია უცხოური ბატონობით, არ მისცე დამოუკიდებლობა ხალხს მარტო იმიტომ, რომ ეს შენი სამხედრო ძლიერებისა და სხვა ქვეყნებზე პოლიტიკური გავლენისათვის სასარგებლოდ გეჩვენება – საზიზღრობაა“ (Чернышевски, 1963 : 217, 218).

ეროვნულ საკითხში რევოლუციონერი დემოკრატების პროგრამის მიმღებლობა ქართველი მოაზროვნე მამულიშვილებისათვის კარგად გადმოსცა ი. გოგებაშვილმა:

„ჩვენი პატრიოტების მოქმედება იმ ეროვნულს გზასვე ადგას, რომელიც ხსენებული მეორე რომანის ავტორმა ჩერნიშევსკიმ (იგულისხმება „რა ვაკეთოთ?“) ვალად დაადო უკრაინელებს, სახელდობრ: ეროვნული ენის, ლიტერატურის და მეცნიერების აყვავების შემდეგი თავისებური გამოხატულებით: „სტუმრად ყოფნა ხანდახან საამურია, მაგრამ ღმერთმა ნუ ქნას, რომ ვისმე თავისი საკუთარი კუთხე არ ჰქონდესო“ (გოგებაშვილი, 1940 : 114)

აშკარაა, რომ ილიასათვის და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სხვა ბელადებისთვის რევოლუციონერი დემოკრატების ეროვნული პროგრამის ძირითადი არსი მისაღებია, მაგრამ ეს იმპერიაში და მის გარეთ მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ღრმა ანალიზზე დაფუძნებული შინაგანი რწმენა იყო და არა თავსმოხვეული გავლენა.

ეროვნული საკითხი, ეროვნული თვითმყოფადობისა და დამოუკი_ დებლობისათვის ბრძოლა აღმოჩნდა ის მთავარი წყალგამყოფი, რომელმაც განაპირობა ილიას უკომპრომისო კონფრონტაცია სოციალ-დემოკრატიულ იდეოლოგიასთან და პრაქტიკასთან. ახალი იდეოლოგია, რომელიც დაფუძნებული იყო საზოგადოების დაპირისპირებულ ძალთა შორის წინააღმდეგობების ყოველმხრივ გამწვავებაზე იმ დონემდე, რომ გამარჯვებულ-დამარცხებული ბარიკადებზე გადაწყვეტილიყო, რა თქმა უნდა, ილიასათვის კატეგორიულად მიუღებელი იყო. მისი იდეალი იყო ერი, როგორც ისტორიით შედუღაბებული ერთსულ და ერთხორც მკვიდრთა კრებული, უძლეველი საერთო ნიადაგზე დგომით და ერთნებობა-თანადგომით, „ყველა საზოგადოებრივ ძალთა ერთ კვალში ჩაყენებით დიდ პატარაობისა და წოდებათა განურჩევლად“.

ქართველი მარქსისტები, სოციალ-დემოკრატები ეროვნულ საკითხთან დაკავშირებით დიდი ორიგინალობით არ გამოირჩეოდნენ. ზოგადად, მარქსისტულ სოციალ-რევოლუციურ იდეოლოგიაში ყოველგვარი ეროვნული და ეროვნულობა პატრიარქალურ და პროგრესის შემაფერხებელ რეაქციულ ფაქტორად განიხილებოდა. მარქსისტების წარმოდგენით, მათ იდეოლოგიაში პოლიტიკურმა ცივილიზაციამ განვითარების უმაღლეს, საბოლოო ეტაპს მიაღწია და საკაციობრიო იდეალები გამორიცხავს ჭრელ და ერთმანეთთან დაპირისპირებულ ეროვნულ ღირებულებებს, რომელიც ბარიერებს უქმნის ინტერნაციონალიზმის უნივერსალურ პრინციპებზე მსოფლიოს მუშათა კლასის გაერთიანებას.

აკად. გ. მელიქიშვილმა ამ პრობლემას, ეროვნულისა და სოციალურის პრიმატს, აღნიშნული პერიოდის საზოგადოებრივ მოძრაობებში განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო და, ჩვენი ვარაუდით, ეს გამოწვეული იყო იმ საშიშროებით, რომ აეცილებინა აშკარა საფრთხე ილიას მოღვაწეობის შეფასებაში. ხელისუფლებაში იყო ის პოლიტიკური ძალა, რომელმაც მეცნიერებებშიც ის თვალსაზრისი გააბატონა, რაც ილიას და მთელი მისი თაობის ნაღვაწის უარყოფას, საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან მათ ამოშლას ემსახურებოდა. საფრთხე ილიას და მისი გუნდის გაუკუღმართებული, გაყალბებული წარმოდგენისა აშკარად ჩანდა.

აკად. გ. მელიქიშვილი რეალური სიტუაციის გათვალისწინებით მიიჩნევდა, რომ ქართული საზოგადოებრივი აზრის გათიშვისა და დაპირისპირების საფუძველი გახდა ის გარემოება, რომ ერთი პოლიტიკური ძალა მთელ თავის მოღვაწეობას ეროვნულ ღირებულებებზე ამყარებდა და ეროვნულობა იყო მისი პოლიტიკური პროგრამის და დამოუკიდებელი სახელმწიფოს აშენების საფუძველი. მეორე – ახალ, მზარდ, აგრესიულ პოლიტიკურ ძალას ეროვნულობა და მისი ღირებულებები მხოლოდ ისტორიის კუთვნილებად, ზოგჯერ „სამარცხვინო“ გადმონაშთად მიაჩნდა და თავისი ქვეყნის მომავალს გაერთიანებული სოციალისტური მსოფლიოს ინტერნაციონალისტურ პრინციპებში ხედავდა.

მარქსიზმის ფუძებდებელთა და მისი ქართველი მიმდევრების პრინციპული პოზიცია ეროვნული საკითხისადმი, როგორც მეორეხარისხოვნისადმი, იდეოლოგიზირებულ მეცნიერებებშიც აისახა. სო-

ციალურთან შედარებით ეროვნული პრობლემები, თვით ილიას პერიოდშიც კი, დაქვემდებარებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა – ამტკიცებდა პროფ. ვ. გაგოიძე და ამით მეცნიერულ კეთილსინდისიერებას ღალატობდა. „ეროვნული საკითხი, მიუხედავად მისი მნიშვნელობისა, ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისა და აზროვნების განვითარების საქმეში... ყოველთვის განხილული იყო როგორც ღონისძიება სოციალური პრობლემების გადაჭრისათვის... ამიტომ პირდაპირ თუ არაპირდაპირ ეროვნული საკითხი ყოველთვის სოციალურად იყო განსაზღვრული (გაგოიძე, 1962 : 13,14].

აკად. გ. მელიქიშვილს, სრულიად საფუძვლიანად მიაჩნდა, რომ სოციალურისა და ეროვნულის დაპირისპირებას ღრმა კლასობრივი საფუძველი ჰქონდა და ერის მომავლის საქმეში არსებითი, გადამწყვეტი ფაქტორი გახდებოდა.

„რა თქმა უნდა, თვით ეროვნული თუ სოციალური ბრძოლისათვის უპირატესობის მიცემას თავისი ღრმა მსოფლმხედველობრივი საფუძვლები ჰქონდა და განსაზღვრული იყო მნიშვნელოვანწილად იმ სოციალური ძალების თვალთახედვით, რომელთა მისწრაფებასაც ეს თვალსაზრისები გამოხატავდა“ (გ. მელიქიშვილი, 1978 ბ : 119).

მარქსისტული იდეოლოგიის შემოჭრის შემდეგ საბოლოოდ გაიხლიჩა ქართული ეროვნული ცნობიერება.

აკად. გ. მელიქიშვილი მიუთითებს, რომ დაპირისპირება საზოგადოებრივ ძალებს შორის ურთულესი და უაღრესად მწვავეა, რადგან მსოფლმხედველობის არსებით და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან სფეროებს ეხება:

„რა თქმა უნდა, თავისთავად ეროვნული და სოციალური თავისუფლების იდეალებისთვის ბრძოლა თითქმის არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ერთმანეთს, მაგრამ პრაქტიკულად იმათ შორის, ვინც ეროვნული თავისუფლების პრიმატობას იზიარებს და იმათ შორის, ვინც სოციალური თავისუფლების იდეალისათვის პრიმატობას აღიარებს, გარკვეულ სიტუაციაში აუცილებლობის ძალით იქმნება დაპირისპირება“ (მელიქიშვილი, 1978 ბ : 119).

პოლონელი ხალხის აჯანყების სისხლში ჩახშობით, კავკასიის მთიელებთან ხანგრძლივ და ქანცის გამწყვეტ ომში წარმატებით, თვითმპყრობელობამ იმპერიაში დაამყარა ტოტალიტარული რეჟიმი, ააზვირთა ტრადიციული შოვინიზმის ტალღა და იმპერიაში შემავალი ნებისმიერი ეთნიკური ერის ეროვნული გადაგვარების საფრთხე რეალური გახადა. ასეთ პირობებში ეროვნულმა საკითხმა ილიასათვის და მისი თანამებრძოლებისათვის სიკვდილ-სიცოცხლის მნიშვნელობა შეიძინა და ყველა სხვა საკითხი, მათ შორის სოციალური, მას დაექვემდებარა.

ილიასათვის მიუღებელი იყო ნებისმიერი იდეოლოგია, რომელიც ეროვნულ პრობლემატიკაზე წინ კლასთა ბრძოლას დააყენებდა და ამ ბრძოლაში ერთი რომელიმე მხარის აპოლოგეტი გახდებოდა. ამიტომ მის დაპირისპირებას ნ. ჟორდანიასთან, ფ. მახარაძესთან – ამჯერად უფრო პოლიტიკოსებთან, ვიდრე მეცნიერებთან, ღრმა მსოფლმხედველობრივი საფუძველი ჰქონდა და არა პიროვნული, რაც კარგად შენიშნა აკად. გ. მელიქიშვილმა:

„შეუძლებელია იმის თქმა, რომ ილია ჭავჭავაძისადმი ან მისი ჯგუფებისადმი დამოკიდებულებას, მათი მსოფლმხედველობისა და საქმიანობის სწორ თუ მცდარ შეფასებას განსაზღვრავდა მხოლოდ ამა თუ იმ პირის ინტელექტის ღირსება-ნაკლოვანებანი. ეს საკითხის მეტისმეტი გაუბრალოება იქნება... თერგდალეულებს თავს ესხმოდნენ უმთავრესად ისინი, ვინც სოციალური თავისუფლების იდეის პრიმატობას აღიარებდნენ, ხოლო თაყვანს სცემდნენ ისინი, ვისთვისაც ეროვნული თავისუფლების იდეალები იდგა ყველაზე მაღლა. თერგდალეულთა ის ჯგუფი, რომელსაც ილია ჭავჭავაძე ედგა სათავეში, თვითონაც მკვეთრად უპირისპირდებოდა ქართულ საზოგადოებაში ყველა მას, ვინც ეროვნულ საკითხს, მათი აზრით, არ აქცევდა სათანადო ყურადღებას, ვინც ეროვნული ნიჰილიზმისა და კოსმოპოლიტიზმის ტენდენციებს ამჟღავნებდა“ (მელიქიშვილი, 1978 ბ : 120).

უნდა აღინიშნოს, რომ პიროვნულ დაპირისპირებას ილიასთან ნ. ჟორდანიაც უარყოფდა, მიუხედავად იმისა, რომ პრესის საშუალებით ბევრი უკადრებელი აკადრა ერის ბრძენ ლიდერს. მისი ტრაგედია, ისევე როგორც ბევრი მისი თანამებრძოლისა, ის იყო, რომ თავიანთი იდეების და იდეალების სამართლიანობასა და პროგრესულობაში დარწმუნებულები იყვნენ. მხოლოდ რწმენაზე დაფუძნებულ პოლიტიკოსს შეეძლო განეცხადებინა ერის ლიდერისათვის – ჩვენ ისტორია გაგვასამართლებსო.

რუსეთის იმპერიაში მიმდინარე პოლიტიკური და იდეოლოგიური პროცესები ქართულ სინამდვილეში ოპერატიულად აისახებოდა. „ისე მკვეთრად, ისე მაგრად ვართ ჩვენ რუსეთთან დაკავშირებული და შეერთებული, რომ თუ ეგ რომელიმე მოვლენამ შეაფერხა საზოგადო ცხოვრება, უეჭველია, ეს შეფერხება არც ჩვენ აგვცდება“ („დროება“, 1883: 6).

ამის გამო ილიას შეშფოთებას იწვევდა ის ფაქტი, რომ რუსეთში თაობათა დაპირისპირებამ უაღრესად რადიკალური, კონფრონტაციული ფორმა მიიღო და არც მისი შერბილების ტენდენცია ჩანდა.

აკად. გ. მელიქიშვილი მათ გასაგონად, ვისაც „კომუნისტში“ გამოქვეყნებული მოსაზრებები მიუღებლად მიაჩნია, „ზოგიერთ განმარტებაში“ ურჩევს, რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიულ მოძრაობასთან თერგდალეულთა დამოკიდებულების შესახებ, აგრეთვე თერგდალეულთა მოძრაობის ძირითადი ამოცანების შესახებ თავად ილიას მოუსმინონ, რომელსაც „ცოტა რამ როდი აქვს ნათქვამი“ ამ მიმართულებით.

ილია მიუთითებს ქართული საზოგადოებრივი აზრის არაერთგვაროვნებას და მოაქვს შესატყვისი ამონარიდი: „თუმცა მამებისა და შვილების ბრძოლამ რუსეთში ბრმად აიყოლია ჩვენებური ყმაწვილ-კაცობა და იმ ბრმად აყოლილებმა ეგ ბრძოლა ჩვენშიაც გადმოიტანეს, მაგრამ ჩვენი ყმაწვილ-კაცობის სასარგებლოდ ესეც უნდა ვსთქვათ, რომ მათგანმა თითო-ოროლამ (ილია აქ უეჭველად თავის თავსა და თავისი ჯგუფის წევრებს გულისხმობს, გ.მ.), გამოინაპირა და თავისი შეცდომა მალე იცნო, გამოვიდა და ცალკე გუნდად დადგა ცხოვრების მოედანზედ. მას აქეთ ჩვენშიაც ყმაწვილ-კაცობა ორ ბანაკად გაიყო. პირველ ბანაკში მოექცნენ ის ახალგაზრდები, რომლებმაც „მამების“ მიერ შექმნილი ყველაფერი უარყვეს და რუსული „უარმყოფლობა“ უკრიტიკოდ მიიღეს“ (მელიქიშვილი, 1978 ბ : 120).

მოაზროვნე ყმაწვილკაცობის მეორე ნაწილი, როგორც ილია აღნიშნავს და აკად. გ. მელიქიშვილი იმოწმებს, „დააკვირდნენ ჩვენის ქვეყნის ვითარებასა და ნახეს, რომ ჩვენს ქვეყანას სულ სხვა ტკივილი აქვს, სულ სხვა ფათერაკი სდევს, სცნეს, რომ ჩვენებური დღევანდელი დღე სულ სხვასა თხოულობს... ჰღაღადებს და, მაშასადამე, ჩვენებური ლიბერალობა (გ. მელიქიშვილი ლიბერალობას განმარტავს, როგორც პროგრესულ ქართულ საზოგადოებრივ პოლიტიკურ მოძრაობას), სულ სხვა რასმეზედ უნდა მიიქცეს მთელის თავისის ძალ-ღონითა“ (მელიქიშვილი, 1978 ბ : 120).

ილიას მიაჩნდა, რომ თუ „მამათა“ და „შვილთა“ ბრძოლა ზოგადსოციოლოგიური ხასიათის კატეგორიაა და საქართველოშიც მას ვერ ავცდებით, ბრძოლის საგანი და ბრძოლის მიზანი „სხვა რამე“ უნდა ყოფილიყო, სრულიად განსხვავებული რუსეთისაგან, და გნებავთ, ბევრი ევროპული ქვეყნისაგან.

გასაგებია მკითხველის ინტერესი ამ „სხვა რამისადმი“ – რას გულისხმობდა ილია განსხვავებულ საგანში, რომლისკენაც ფაქტობრივად მიმართავდა ერის მთელ ინტელექტუალურ ძალებს, ლიბერალებსაც და კონსერვატორებსაც. სტატიაში რამდენიმე გზის „სხვა“ და „სხვა რამე“-ს განმეორებით ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ილია საგანგებოდ აღვიძებს მკითხველის ინტერესს და ბოლოს ამასაც ხსნის:

„ის „სხვა რამე“ იყო – ჩვენის დაცემულის ვინაობის აღდგენა, ფეხზე დაყენება და დაცვა ყოველის მოსალოდნელის ფათერაკისაგან. რომ ეგ ფათერაკი მოსალოდნელი იყო და დღესაც თავიდან არ აგვცდენია, – ყველასათვის ცხადზედ ცხადია“ (ჭავჭავაძე, 1955 : 95).

აკად. გ. მელიქიშვილი ილიას ცნობილ პოლიტიკურ პუბლიცისტურ ნარკვევებზე დაყრდნობით მკითხველ საზოგადოებას შეახსენებს, რომ საქართველოს შვილს უფრო დიდი, მნიშვნელოვანი, ეროვნულ-პატრიოტული საქმე არ აქვს, ვიდრე ერის „ვინაობის აღდგენაა“. ამას უნდა ემსახურებოდეს თითოეული ადამიანი და ერის ძალისხმევა იქითკენ უნდა იყოს მიმართული: „სკოლაა, ბანკია თუ თეატრი, ყველაფერს სულ მაგისკენ უნდა მივუბრუნოთ თავი – ყველა თანამდებობაზე კაცის დანიშვნისა და არჩევის ძირითადი კრიტერიუმიც ეს უნდა იყოს – მაგ მიმართულების სასწორზედ უნდა ავწონოთ. ვინც ამისათვის არ გამოდგება, ვინც ამას ვერ გაითავისებს და მოღვაწეობის მთავარ მიზნად არ გაიხდის, გინდ „მამა“ დაარქვით ამისთანა კაცს, გინდათ „შვილი“, აქ სახელწოდება არაფერს შუაშია, ოღონდ ეს კი ვიცოდეთ, რომ მაგისთანა კაცი ჩვენი კაცი არ არის“ – იმეორებს ილიას ამონარიდს აკად. გ. მელიქიშვილი (მელიქიშვილი, 1978 ბ : 120).

ვინც ილიას პოლიტიკურ-პუბლიცისტურ მემკვიდრეობას იცნობს, დაგვეთანხმება, რომ ილია ეროვნული პროგრამის სოციალურით გაჯერების წინააღმეგი არ შეიძლებოდა ყოფილიყო. პუბლიცისტიკას რომ თავი დავანებოთ, „კაკო ყაჩაღის“, „გლახის ნაამბობის“, „ოთარაანთ ქვრივის“ ავტორისათვის როგორ შეიძლება სოციალური პრობლემატიკა უცხო ან მიუღებელი ყოფილიყო. ეს პრობლემაც მეცნიერულად ახსნა აკად. გ. მელიქიშვილმა, როდესაც თერგდალეულთა სოციალურ პროგრამას

შეეხო. მისი ანალიზი განსხვავდებოდა როგორც იდეოლოგიურად მოწინააღმდეგეებისაგან (ხალხოსნები, სოციალ-დემოკრატები), ასევე მთავარში მომხრეებისაგან (ნ. ნიკოლაძე, არჩ. ჯორჯაძე). „თერგდალეულთა სოციალური პროგრამაც პროგრესული ხასიათისა იყო: უახლოეს მომავალში იგი ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ თავისუფლებათა მოპოვებასა და ხალხის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას ისახავდა მიზნად, ხოლო პერსპექტივაში – „სამართლიანი საზოგადოების“ შექმნას, სადაც ერთი წოდება ვეღარ დაჩაგრავდა მეორეს და იქნებოდა მხოლოდ შრომის გონიერი დანაწილება საზოგადოებრივად სასარგებლო ფუნქციების შესრულებაში“ (გ. მელიქიშვილი, 1978 ა.)

ამ მნიშვნელოვანი დებულების კომენტირებისას შეიძლება იმის კონსტატირება, რომ ზუსტად ასახავს ილიას სოციალური პროგრამის ძირითად პრინციპებს და სრულად პასუხობს როგორც „გლახის ნაამბობის“, ისე სოციალური პუბლიცისტიკის იდეურ მიზანდასახულობებს. საგულისხმოა ისიც, რომ მეცნიერი „პროგრესულის“ ცნებში გულისხმობს „ბურჟუაზიულ-დემოკრატიული თავისუფლებების მოპოვებას“, რაც გ. მელიქიშვილის მხრიდან „დინების საწინააღმდეგო“ მოსაზრება იყო, ხოლო ცენზურის მხრიდან – მიუტევებელი უყურადღებობა.

სოციალ-დემოკრატიის ორივე ფრთისთვის დამახასიათებელი ერთი უმნიშვნელოვანესი ნიშანი შესანიშნავად გამოხატა მათმა თანამედროვემ, შემდგომში საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა ლეონიდემ (ოქროპირიძემ): „მათთვის მთავარია სიყვარული ქვეყნიერებისა და არა სამშობლოსი, შორეულისა და არა მახლობელისა, გარეშესი და არა შინაურისა. ყოველივე ეს ემსგავსება წაღმა წარწერის უკუღმა კითხვას, მუხის დარგვას კენწეროთი... ღმერთმა დაიხსნას საქართველო ამ გვარის მანკიერ შვილთაგან“ (ვარდოსანიძე, 2008 : 50).

ნებისმიერი ეროვნული ღირებულების უარყოფა, როგორც პატრიარქალურობის გადმონათში და ყოველივე უცხოურთან უკრიტიკო, უპრინციპო, ქედმოხრილი და გაუაზრებელი დამოკიდებულება მიუღებელი იყო როგორც საერო, ასევე სასულიერო პატრიოტი მამულიშვილებისათვის. ილია ერს მიმართავდა: „სად ეროვნება და სად კაცობრიობა, სად პატრიოტობა და სად კოსმოპოლიტობა! ღმერთო, შენ უწყი, რომ აქ საერთო არაფერია! ჰმ, კაცობრიობაა ჩვენი ღმერთიო... დიაღ, ეგღა გვაკლდა, რომ ქართველობაზედ ხელი ავიღოთ, ეროვნული ტაძარი დავაქციოთ და კაცობრიობის დიდებას შეუდგეთ“ (ჭავჭავაძე, 2007 : 150).

ილიას ოპონენტებს არ ესმოდათ, რომ როდესაც ერი საკუთარ საფუძველზე ვერ ვითარდება, დიდ ურემზე გამობმული პატარა სათრეველაა და ეს თავსმოხვეული გარეგანი ძალა მის, როგორც ერის, ეთნიკურ-კულტურულ არსებობასაც საფრთხეს უქმნის, მისი გადარჩენის შანსი სწორედ შინაგანი ძალების შეკავშირება, მათი კონსოლიდაცია და შეერთებული ძალით არსებობისათვის ბრძოლაა და არა ერის სოციალურ ძალთა დაპირისპირება.

საბჭოთა პერიოდის საზოგადოებათმცოდნეობის კიდევ ერთ იდეოლოგიურ დაკვეთას ილიას რევოლუციონერობა წარმოადგენდა და, რო-

გორც აკად. გ. მელიქიშვილი აღნიშნავს, ამითაც იყო გამოწვეული ილიას ეროვნული იდეოლოგიის რომელიმე ცნობილ სქემაში ჩასმა. თუ ილია ჩერნიშევსკის და კამპანიის მოწაფე, თანამგრძნობი და მიმდევარი იყო, ილია რევოლუციონერი ლოგიკურად გამოდიოდა, მით უმეტეს, თუ „ორი ილიას“ კონცეფციასაც გაიზიარებდი. „მომავლის შექმნა რევოლუციური ამბოხების გზით – აი, ილია ჭავჭავაძის 60-იანი წლების მთავარი ამოცანა და მიზანი“ (ვ. გაგოიძე, 1962 : 332).

სოციალურ ძალთა ერთიანობის, თანადგომის, ინტერესთა გათვალისწინებისა და საერთო მიზნისაკენ სწრაფვის თეორიის ავტორისათვის მიუღებელი იქნებოდა ბარიკადების სხვადასხვა მხარეს მდგარი ქართველი გლეხი და ქართველი თავადი, ქართველი მუშა და ქართველი მეწარმე, უფრო მეტად კი – რევოლუციისათვის არც თუ უცხო ერთი ოჯახის ორი წევრი. ამ შემთხვევაშიც ეროვნული ძალების დაპირისპირება ინტერნაციონალურ-კოსმოპოლიტურ ერთობასთან პრინციპულ, იდეოლოგიურ ხასიათს ატარებდა, რაც ადეკვატურად გამოხატა აკად. გ. მელიქიშვილმა: „თერგდალეულების აზრით, ძალადობის გზა არ არის ეფექტიანი, იგი თიშავს ეროვნულ ძალებს. რევოლუციური ძალის წარმომადგენლები კი, პირიქით, შიშობდნენ, რომ „ეროვნული ზავის“ და ერის შიგნით წოდებათა შერიგების ქადაგება ძირს უთხრიდა იმპერიის დამორჩილებული მასების ერთიან ბრძოლას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ“ (მელიქიშვილი, 1978 ბ : 121).

ასეთ პირობებში, როდესაც ილიას ეროვნულ იდეოლოგიაში რევოლუციონერობასა და რეფორმატორობას შორის დავა გრძელდებოდა, აკად. გ. მელიქიშვილის კონკრეტულ-საგნობრივ განცხადებას, რომელიც სხვაგვარი გაგების გზას არ ტოვებდა, განსაკუთრებული, მეცნიერულ-იდეოლოგიური მნიშვნელობა ენიჭებოდა: „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ წერილში აღნიშნული გვქონდა, რომ ილია ჭავჭავაძე და მისი მიმდევარი არ იყვნენ რევოლუციონერები, მათ არ შეიძლება რევოლუციონერ-დემოკრატები ვუწოდოთ“ (მელიქიშვილი, 1978 ბ : 120).

ზემოაღნიშნული განცხადება ფორმითაც და შინაარსითაც არსებითად განსხვავდება იმ პერიოდში გავრცელებული თვალსაზრისებისგან, რომლებშიც სინთეზირებული იყო ზოგი სიმართლე ზოგ იდეოლოგიურ ხარკთან.

ილია უნდობლად შეხვდა 1905-1907 წლების რევოლუციას. „კლასთა ერთ ნიადაგზე დგომისა“ და „უმტკივნეულო მორიგების“ კონცეფციების ავტორს არ სჯეროდა რევოლუციების და სამოქალაქო ომების. ილიას, როგორც რეალ-პოლიტიკის მიმდევარს და პრაგმატიკოსს, არ სწამდა რევოლუციების, რომლებიც ევოლუციისაგან განსხვავებით, უცნობში შეღწევაა. მიაჩნდა, რომ უდიდესი მსხვერპლი სასურველ შედეგს ვერ გამოიღებდა და არც იმ მეთოდების სწამდა, რომლებითაც შეიარაღებული მასები რევოლუციის სახელით ათას უბედურებას ჩადიოდნენ.

რევოლუციის უპირველესი ნიშანი სტიქიაა – მიზანმიუმართავი და უპასუხისმგებლო შეღწევა არაპროგნოზირებად ახალ სივრცეში. რევოლუციის მართვა, მისი სასურველი მიზნისკენ წარმართვა ადამიანების ნებას აღემატება. ჯერ კიდევ პოლიტოლოგიის მამად აღიარებული ნ.

მაკიაველი მიუთითებდა: არავინ არ უნდა გააჩაღოს რევოლუცია ქალაქში იმ იმედით, რომ შემდეგ მას შეეძლება მისი შეჩერება საკუთარი ნებით ან მართოს ის ისე, როგორც მას სურს.

XVI საუკუნის ამ დიდი მოაზროვნის მხარდასაჭერად დავუმატებთ, რომ შემდეგაც კაცობრიობამ ბევრი დიდი და მცირე რევოლუციები გამოიარა, მაგრამ ვერცერთმა ლიდერმა ვერ შეძლო წარემართა ისე, როგორც მისი პოლიტიკური ნება კარნახობდა.

ილია რომ ბრძოლის რევოლუციურ მეთოდებს არ გაიზიარებდა და ეს თაობის საერთო განწყობა იყო, კარგად შენიშნა აკად. გ. მელიქიშვილმა: „ახლა გვინდა ერთი თვალსაჩინო მაგალითი მოვიტანოთ იმისა, თუ როგორ ემიჯნებოდნენ რევოლუციური მეთოდებით საქმიანობას თერგდალეულები (გამოჩენილ თერგდალეულთაგან თავისი მოღვაწეობის პირველ ეტაპზე გამონაკლისს უეჭველად შეადგენდა ნიკო ნიკოლაძე, რომელიც აქტიურად იყო ჩაბმული რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიულ მოძრაობაში, თუმცა მალე ისიც მკვეთრად გაემიჯნა მას)“ (მელიქიშვილი, 1978 ბ : 122).

ამის შემდეგ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებში რევოლუციური გზის მხარდამჭერი არავინ დარჩა, მიაჩნია აკად. გ. მელიქიშვილს და ამის არგუმენტად მოაქვს იაკ. გოგებაშვილის თვალსაზრისი, რაც შემთხვევითი არ არის.

რევოლუციისადმი, შეიარაღებული აჯანყებისა და მისი თანმდევი პოლიტიკური პროცესებისადმი თერგდალეულების დამოკიდებულებას საინტერესოდ გადმოგვცემს პოლიტიკური ანალიზის ბრწყინვალე წარმომადგენელი, პატრიოტულ-პოლიტიკური პედაგოგიკის თეორიის შემქმნელი იაკ. გოგებაშვილი. მისი თვალსაზრისი რომ მთელი თაობის თვალსაზრისად შეიძლება მივიჩნიოთ, ამის მრავალგვარი დასაბუთება არსებობს, თუნდაც ის, რასაც თავად იაკ. გოგებაშვილი გვაუწყებს: ჩემი ყველა მნიშვნელოვანი ნარკვევი ჯერ ილიას უნდა წაეკითხა, მისი აზრი მომესმინა და ამის მერე ხდებოდა მისი პრესაში წარდგენაო.

გაზეთმა „დროებამ“ ი. გოგებაშვილს დასწამა, რომ რევოლუციის დროს რევოლუციონერებს ემხრობოდი, ახლა კი მათ მათრახი გადაუჭირეო. ამის საპასუხოდ, ი. გოგებაშვილი აღნიშნავს: „თუ მათრახია მოქნეული, იგი დამიზნული უნდა იყვეს სრულიად სხვა მხარის წინააღმდეგ. რევოლუციონერებს კი მათრახს როგორ ვაკადრებდი, როდესაც ისინი თავგანწირულნი იბრძვიან, იტანჯებიან და იხოცებიან თავისი იდეების განსახორციელებლად. თუმცა მე პირადად არც წინად ვყოფილვარ რევოლუციონერი და არც ახლა ვარ, მაგრამ დიდ პატივს ვცემდი ყველას, ვინც კი გულწრფელად და თავგამოდებით ემსახურებოდა საუკეთესო მომავალს ერისას თუნდ სარევოლუციო გზითა. მე გახლდით და ახლაც ვარ წმინდა ევოლუციონისტი, სისტემატური რეფორმების მონატრული, მიმდევარი და მქადაგებელი“ (გოგებაშვილი, 1990 ა : 321).

ასე სრულად, ამომწურავად და გასაგებად, ისე, რომ დღევანდელი პოლიტიკური ტერმინოლოგიისა და ცნებების განვითარების პირობებშიც უკეთესად ვერ იტყვი, გადმოსცა ი. გოგებაშვილმა თავისი თვალსაზრისი. რევოლუციებისა და რევოლუციონერებისადმი ასეთმა დამოკიდებულებამ

მისცა საფუძველი აკად. გ. მელიქიშვილს, რომ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო, გაზეთ „კომუნისტში“ განეცხადებინა არგუმენტირებული მოსაზრება: „მართალია, თავიანთი, როგორც ეროვნული, ისე სოციალური იდეალების მისაღწევად თერგდალეულები, ილია ჭავჭავაძის ჯგუფი უარყოფდნენ ძალმომრეობას, რევოლუციის გზას (ამიტომ შეცდომაა, როდესაც მათ რევოლუციონერ-დემოკრატებს უწოდებენ), მაგრამ მიუხედავად ამისა, სიმპატიით ეპყრობოდნენ რევოლუციონერთა საქმიანობას, დიდად აფასებდნენ მათს თავგანწირვას“ (მელიქიშვილი, 1978 ა).

აკად. გ. მელიქიშვილი თანმიმდევრულად აანალიზებს გოგებაშვილის თვალსაზრისს რევოლუციისა და რეფორმირების, რევოლუციისა და ევოლუციის თანაფარდობის შესახებ საზოგადოებრივ პროგრესში და მკითხველს სთავაზობს ბრწყინვალე ანალიზს, რომელიც შეხებაშია მეცნიერული კვლევების მის ძირითად სფეროსთან, რის საფუძველზეც მას პატრიოტულ-პოლიტიკური პედაგოგიკის შემქმნელად მივიჩნევთ. იგი ამტკიცებს, რომ არარუსი ერების მიმართ ცარიზმის მიერ გატარებული საგანმანათლებლო პოლიტიკა გარუსებას კი არ უწყობს ხელს, როგორც ეს ოფიციოზს სურს, არამედ რევოლუციონერ-ტერორისტების აღზრდას ემსახურება. აკად. გ. მელიქიშვილს მოაქვს იაკ. გოგებაშვილის შესაბამისი ციტატი, რომელსაც ჩვენც სიამოვნებით გავიმეორებთ: „მაგრამ სრულიად სხვა შედეგი მოსდევს ამგვარ ინტერნაციონალურ აღზრდასა მეთქი, – წერს იგი. მოწყვეტილნი სამშობლო ენას, ლიტერატურას, გეოგრაფიას, ისტორიას, აწმყოს და წარსულს თავისი ერისას, ქართველი ყმაწვილები კი არ რუსდებიან, ინტერნაციონალდებიან და ადვილად ხდებიან მიმდევრებად ფანტასტიური ინტერნაციონალური გეგმებისა, პლანებისა, ხდებიან მოწაფეებად იმათი, ვისაც სურს აწინდელი კაცობრიობის მდგომარეობა ძირიან-ფესვიანად ამოფხვრან, დაამხონ. ამას დიდ დანაშაულობად სთვლის მთავრობა, სასტიკად დევნის ამ რევოლუციონერებს მაშინ, როდესაც მათ მოვლენაში თვითონვეა დამნაშავე მეთქი“ (გოგებაშვილი, 1977 : 128-130).

80-იანი წლებიდან, როდესაც ილიამ თავის ეროვნულ იდეოლოგიას მწყობრი და სისტემური ხასიათი მისცა, სადაც განსხვავებული სოციალური ძალების ერთ ნიადაგზე დგომას, ერთმანეთის ინტერესების შეუბღალავად დაცვას მთავარი, „ღერძულა“ პოზიცია ეკავა, ილიას რევოლუციონერობის მტკიცებამ ლოგიკურადაც და შინაარსობრივადაც აზრი დაკარგა.

ასეთ პირობებში პოლიტიკურად უფრო მიზანშეწონილი გახდა იმის მტკიცება, რომ ილიას მოძღვრება და მისი მოღვაწეობა უშუალოდ რევოლუციური არ იყო, მაგრამ აუცილებლად იყო რევოლუციის ხელშემწყობი, რადგან მიმართული იყო არსებული რეჟიმის წინააღმდეგ და ხელს უწყობდა საზოგადოებაში გონებრივ რევოლუციას.

ილიას რევოლუციებთან დამოკიდებულების კომპრომისული თვალსაზრისები აკად. გ. მელიქიშვილისათვის მიუღებელია. ამ შემთხვევაში ის ისევე კატეგორიულია, როგორც ილიას პოლიტიკური მსოფლმხედველობის სხვა ასპექტის შეფასებებში. მას მიაჩნია, რომ როგორც რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების თარგზე არ შეიძლება ქართული ეროვნული იდეოლოგიის მორგება, ასევე „არ შეიძლება მათი სულ სხვა ნიადაგზე აღმოცენებული მარქსისტული სოციალ-დემოკრატიული მიმდინარეობის წინაპრებად გამოცხადება“ (მელიქიშვილი, 1978 ბ : 118).

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ აკად. გ. მელიქიშვილის ზემოაღნიშნული მოსაზრებები ილიას პოლიტიკური ფილოსოფიისა და ეროვნული იდეოლოგიის შესახებ გამოთქმულია მე-20 საუკუნის 70-იან წლებში, ტოტალიტარული საზოგადოების პირობებში. ასეთი საზოგადოების არსებითი ნიშანია ყოვლისმომცველი ცენზურა, რომელიც აბსოლუტური მონარქიის პოლიტიკური სისტემის ცენზურისაგან არსებითად არ განსხვავდება. მათ საერთო მიზანი აქვთ – საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი და გონებით სააზროვნო არ გახდეს არცერთი მოსაზრება, რომელიც არსებული პოლიტიკური რეჟიმისათვის საზიანო იქნება.

ცენზურის „თვალი და ყური“ ილიას მთელი ცხოვრების მანძილზე არ მოკლებია. 1873 წელს ილია წერდა ნიკო ნიკოლაძეს:

„ჩემი „აჩრდილის“ პირველ ნაწილს გიგზავნი. თუ მოგეწონოთ, სრულად დაბეჭდეთ. ვიცი, რომ 16 ხანის უკანასკნელ ოთხ სტრიქონს ცენზორი ამოშლის. ისევ ისა ჰსჯობია, ჩვენ წინადვე დავასწროთ, რომ სხვაზე მაინც არ აღელდეს“ (ჭავჭავაძე, 1961 : 44].

ბუნებრივია, რომ ცენზურის პრობლემა საბჭოთა პერიოდში მოღვაწე ყველა საზოგაოებათმცოდნე მეცნიერის წინაშეც იდგა. ზოგისთვის ეს მარტივად გადასალახი იყო – ნაკლები სიახლე და ავტორიტეტებად მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები, გამოსაცემად საკმარისი იყო. რთულ მდგომარეობაში იყვნენ მეცნიერები, რომლებსაც ეროვნულ სიამაყეს მიკუთვნებული სააზროვნო საგანძურის გამომჟღავნების საპატიო მისია ჰქონდათ დაკისრებული. ამ შემთხვევაში აუცილებელი ხდება გარკვეული იდეოლოგიური ხარკის გადახდა, გარკვეული პოლიტიკური კომპრომისი, რომ ძირითადმა, მართალმა სიტყვამ დღის სინათლე იხილოს. ასეთი გზა, ერთადერთი სწორი, გამართლებული გზა, აირჩია აკად. გ. მელიქიშვილმა, როცა დაწერა: „...ორივე მიმდინარეობამ ისტორიულად პროგრესული როლი შეასრულა – სოციალური და ეროვნული თავისუფლების მოპოვების მაღალ იდეალს სამსახური გაუწია“ (მელიქიშვილი, 1978 ბ : 119).

დღევანდელი გადასახედიდან ამ ამონარიდს შეიძლება ბევრი კრიტიკოსი გამოუჩნდეს, მაგრამ ამის გარეშე ისიც ვერ დაიბეჭდებოდა, რაც აუცილებლად მიაჩნდა პატრიოტ მეცნიერს. „უარმყოფლების“ გასაგონად კი ისევ დიდ ილიას დავიმოწმებ: „ჭეშმარიტი მეისტორიე, ვითარცა განკითხველი, ჯერ იმ დროების ქერქში უნდა ჩაჯდეს და მერე განიკითხოს თვით დროების შვილნიცა“.

საბჭოური ტოტალიტარიზმის, მისი სისტემური განვითარების პერიოდისათვის დამახასიათებელი ეროვნული ნიჰილიზმის იდეოლოგიური ინერციის პირობებში ქართული ეროვნული ინტელიგენიის უმნიშვნელოვანეს ამოცანას ილიას პოლიტიკური მემკვიდრეობის წარმოჩენა და დაცვა წარმოადგენდა.

აკად. გ. მელიქიშვილის მაღალი მეცნიერულ-იდეოლოგიური ძალისხმევა მიმართული იყო ქართული საზოგადოებისაკენ, რომ კიდევ ერთხელ გაეაზრებინათ ილიას ფენომენი, მისი უაღრესად ფართო პოლიტიკური თვალსაწიერი, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, სამშობლოს მთებს ესიყვარულებოდა თუ ფილოსოფიურ პრობლემებს არკვევდა

თავის ნარკვევებში, სკრუპულოზურად გადმოსცემდა შორეული ირლანდიელი ხალხის ყოფის და ბრძოლის პირობებს, ასევე უფრო შორეული, ხელისუფლების შეცვლის მიზეზებსა და მოსალოდნელ შედეგებს ბრაზილიაში; ბისმარკის, გერმანიის „მკვიდრად ამშენებლის“ მილიტარისტულ პოლიტიკას თუ ინგლისის ხელისუფლებაში ვიგებისა და ტორების ურთიერთმონაცვლეობით გამოწვეულ ცვლილებებს საშინაო და საგარეო პოლიტიკაში, მისი გონების თვალი ყოველთვის მხოლოდ მის ეროვნულად და სოციალურად დამონებულ სამშობლოს დასტრიალებდა.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

abasheli, a. (1937). ilia chavachavadzis khuttomeuli. *ilia chavachavadze. tkhzulebata krebuli xut tomad. t.I.* p. ingoroqvas da a. abashelis redaktsiit. tbilisi. (აბაშელი, ა. (1937). ილია ჭავჭავაძის ხუთტომეული. *ილია ჭავჭავაძე. თხზულებათა კრებული ხუთ ტომად. ტ. I.* პ. ინგოროყვას და ა. აბაშელის რედაქციით. თბილისი.).

abashidze, g. (2005). *ilia chavchavadze (tskhovreba da ghvatsli).* tbilisi. (აბაშიძე, გ. (2005). *ილია ჭავჭავაძე (ცხოვრება და ღვაწლი).* თბილისი.).

gagoidze, v. (1962). *ilia chavchavadzis msoplmkhedveloba*. tbilisi. (გაგოიძე, ვ. (1962). *ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობა*. თბილისი.).

gogebashvili, iak. (1940). *rcheuli natserebi.* t. 2. tbilisi. (გოგებაშვილი, იაკ. (1940). *რჩეული ნაწერები*. ტ. 2. თბილისი.).

gogebashvili, iak. (1990)a. *tkhzulebani*. t. III. tbilisi. (გოგებაშვილი, იაკ. (1990) ა. *თხზულებანი*. ტ. III. თბილისი.).

gogebashvili, iak. (1990) b. *tkhzulebani*, t. IV. tbilisi. (გოგებაშვილი, იაკ. (1990) ბ. *თხზულებანი*. ტ. IV. თბილისი.).

gogebashvili, iak. (1977). *rcheuli p'edagogiuri tkhzulebani*. tbilisi. (გოგებაშვილი, იაკ. (1977). *რჩეული პედაგოგიური თხზულებანი*. თბილისი.).

gorgiladze, l. (1963). *ideologiuri brdzolis istoriidan sakartveloshi,* tbilisi. (გორგილაძე, ლ. (1963). *იდეოლოგიური ბრძოლის ისტორიიდან საქართველოში*, თბილისი.)

gorgiladze, l. (1987). *saiubileo k'rebuli,* ilia chavchavadze - 150, tbilisi. (გორგილაძე, ლ. (1987). *საიუბილეო კრებული*, ილია ჭავჭავაძე - 150, თბილისი.).

„droeba“ (1883). № 6 („დროება“ (1883). №6).

tavadze, a. (1951). *ilia chavchavadzis pilosopiuri da estetik'uri shekhedulebani.* tbilisi. (თავაძე, ა. (1951). ილია ჭავჭავაძის ფილოსოფიური და ესთეტიკური შეხედულებანი. თბილისი.).

vardosanidze, s. (2008). *sruliad sakartvelos k'atolikos-patriarki, utsmindesi da unetaresi ilia II.* tbilisi. (ვარდოსანიძე, ს. (2008). *სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II.* თბილისი.)

ilia chavchavadzis sikvdili da dasaplaveba. (1907 (1989)). dasuratebuli krebuli. tbilisi. (*ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება*. (1907 (1989)). დასურათებული კრებული. თბილისი.).

melikishvili, g. (1968). *sakartvelos istoriis shestsavla oktombris sotsialisturi revolutsiis 50 tslistavze.* saist'orio tserilebi. I. tbilisi. (მელიქიშვილი, გ. (1968). *საქართველოს ისტორიის შესწავლა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავზე.* საისტორიო წერილები. I. თბილისი.).

melikishvili, g. (1970). *kartvelebi, mati tsarmoshobis sakitkhi.* sakartvelos ist'oriis narkvevebi. t. I. tbilisi. (მელიქიშვილი, გ. (1970). *ქართველები, მათი წარმოშობის საკითხი.* საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. I. თბილისი.).

melikishvili, g. (1978) a. *erovnuli tavisuplebis medroshe.* gazeti „komunisti", 28 maisi (მელიქიშვილი, გ. (1978) ა. *ეროვნული თავისუფლების მედროშე.* გაზეთი „კომუნისტი", 28 მაისი).

melikishvili, g. (1978) b. zogierti ganmarteba. *matsne. istoriis, arkeologiis, etnograpiisa da khelovnebis istoriis seria.* № 4. (მელიქიშვილი, გ. (1978) ბ. ზოგიერთი განმარტება. *მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია.* № 4).

ratiani, p. (1954) *ilia chavchavadzis pilosopiuri da sotsial-politkuri shekhedulebani,* tbilisi. (რატიანი, პ. (1954) *ილია ჭავჭავაძის ფილოსოფიური და სოციალ-პოლიტიკური შეხედულებანი*, თბილისი.).

ratiani, p. (1962). t*ergdaleulta revolutsiuri moghvats'eobis ist'oriidan.* tbilisi. (რატიანი, პ. (1962). *თერგდალეულთა რევოლუციური მოღვაწეობის ისტორიიდან.* თბილისი.).

surguladze, a. (1977). *saiubileo krebuli „ilia chavchavadze – 140".* tbilisi. (სურგულაძე, ა. (1977). *საიუბილეო კრებული „ილია ჭავჭავაძე - 140".* თბილისი.).

shaduri, v. (1987). *ilia chavchavadze da rusuli kultura.* tbilisi. (შადური, ვ. (1987). *ილია ჭავჭავაძე და რუსული კულტურა.* თბ.).

chavchavadze, i. (1955). t. IV (attomeuli). tbilisi. (ჭავჭავაძე, ი. (1955). ტ. IV (ათტომეული). თბილისი.).

chavchavadze, i. (1957). t. V (attomeuli). tbilisi. (ჭავჭავაძე, ი. (1957). ტ. V (ათტომეული). თბილისი.).

chavchavadze, i. (1961). t. X (attomeuli). tbilisi. (ჭავჭავაძე, ი. (1961). ტ. X (ათტომეული). თბილისი

chavchavadze, i. (2005). t. V (otstomeuli). tbilisi. (ჭავჭავაძე, ი. (2005). ტ. V (ოცტომეული). თბილისი.).

javakhishvili, iv.(1939). ilia chavchavadze da sakartvelos istoria. o. gogiashvili, e. batiashvili (2002). *kartuli sakhelmtsipos ideologebi.* tbilisi. (ჯავახიშვილი, ივ. (1939). ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია. ო. გოგიაშვილი, ე. ბატიაშვილი (2002). *ქართული სახელმწიფოს იდეოლოგები.* თბილისი.).

jorjadze, arch. (1989). *tserilebi.* tbilisi. (ჯორჯაძე, არჩ. (1989). *წერილები.* თბილისი.).

Chernishevski, N. G. (1963). Sochinenia. T.V. Moskva. (Чернышевский, Н. Г. (1963). Сочинения. Т. 5. Москва.)